

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოცემის 82-100 წელი



იმისთანა წმინდა საძმომი, ბოგბივ ბეჭ-  
ეუბი სიფყვას, ცედილებით და ჭიბებით ბუტ-  
თის გაფანა ყველა უკანდისბაჟ უსამაგლესია.

სამშაბათი, 17 ივლისი. 2018 წ. №143 (8544),

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 50 თეთრი.

## კიდევ 4 ადამიანი დაგვეღუპა!



**ტყიბულში  
25 პატარო  
დაიღუპება**

### 16 ივლისი გლოვის დღე იყო...

საქართველოს პრემიერ-  
მინისტრის გადაწყვეტილებ-  
ით, ტყიბულის შახტაში მომ-  
ხდარ ტრაგედიასთან დაკავ-  
შირებით, 16 ივლისი გლოვის  
დღე იყო!

გლოვის დღესთან დაკავ-  
შირებით, საქართველოს ტე-  
რიტორიაზე ყველა ადმინისტ-  
რაციულ შენობაზე სახელმწი-  
ფო დროშები დაეშვა.

## იტალიის პრეზიდენტი - საქართველოში

იტალიის პრეზიდენტი სერჯიო  
მატარელა გუშინ საქართველოში  
ჩამოფრინდა. იტალიის პრეზი-  
დენტს საგარეო საქმეთა მინისტრი  
და საქართველოს პრეზიდენტის ად-  
მინისტრაციის უფროსი დახვდნენ.  
დახვდნის ოფიციალური ცერემო-  
ნიის შემდეგ პრეზიდენტის სასახ-  
ლეში შედგა გიორგი მარგველაშ-  
ვილთან პირისპირ შეხვედრა.

გაფართოებული შეხვედრე-  
ბის შემდეგ პრეზიდენტებმა რამ-  
დენიმე ორმხრივ დოკუმენტს მო-  
აწერეს ხელი და ქართული და  
იტალიური მედიისთვის განცხა-  
დებებს აკეთებენ. იტალიის რეს-  
პუბლიკის პრეზიდენტს სერჯო მატარელას, სახელმწიფო ვი-  
ზიტის ფარგლებში, დაგეგმილი აქვს შეხვედრები: საქარ-  
თველოს კათოლიკოს-პატრიარქთან ილია მეორესთან, პრემი-  
ერთან და პარლამენტის თავმჯდომარესთან.

სერჯო მატარელა, დელეგაციასთან ერთად, რომლის შემადგენ-  
ლობაშიც იტალიელი ბიზნესმენებიც შედიან, ქართულ-იტალიურ  
ბიზნესფორუმს ეწვევა და ფორუმის დახურვის ცერემონიაში მიი-  
ღებს მონაწილეობას. იტალიის პრეზიდენტი ასევე ეწვევა თბილი-  
სის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს  
და დაათვალიერებს „ქართულ-იტალიური“ ისტორიული მეგობრო-  
ბის შესახებ გამართულ გამოფენას.



## „რას გვიპირებენ, უნდა მოგვკლან?“

### საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი „საქნახშირს“ უსასყიდლოდ სახელმწიფოს ჩუქნის!

საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი  
ტყიბულში, მინდელის სახელობის შახტაში  
მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით გან-  
ცხადებას ავრცელებს და მზადყოფნას გამოთ-  
ქვამს კომპანია „საქნახშირი“ უსასყიდლოდ გა-  
დასცეს სახელმწიფოს.

„როგორც საზოგადოებისთვის უკვე ცნობი-  
ლია, ტყიბულში, მინდელის სახელობის შახტაში  
მოხდა კიდევ ერთი ტრაგიკული შემთხვევა, რომ-  
ლის შედეგადაც 4 მეშახტე გარდაიცვალა, 6 კი  
დაშავდა. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუ-  
ფი“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მომხდარი  
უბედური შემთხვევის გამო და სამძიმარს უცხა-  
დებს კომპანია „საქნახშირის“ თანამშრომლებსა  
და დაღუპული მეშახტეების ოჯახის წევრებს.  
მიუხედავად იმისა, რომ „საქართველოს ინდუს-  
ტრიულმა ჯგუფმა“ 2006 წლიდან ათეულობით

მილიონიანი ინვესტიცია განახორციელა „საქ-  
ნახშირში“, აღდგა სრული საწარმოო პროცე-  
სი, სრულად შეიცვალა არსებული ინფრასტრუქ-  
ტურა, დასაქმდა 1400 მეშახტე, ასევე, ბოლო  
წლებია, კომპანია ყველაფერს აკეთებს უსაფ-  
რთხოების სისტემების გასაუმჯობესებლად, სამ-  
წუხაროდ, ტყიბულის შახტების სპეციფიკიდან  
გამომდინარე, კომპანია „საქნახშირში“ ვერ  
მოიძებნა ისეთი საინჟინრო გადაწყვეტა, რო-  
მელიც ნახშირის მოპოვებას სრულიად უსაფ-  
რთხოს გახდიდა. აქედან გამომდინარე, საქარ-  
თველოს ინდუსტრიული ჯგუფი გამოთქვამს  
მზადყოფნას, უკანასკნელი 12 წლის განმავლო-  
ბაში გაწეული მნიშვნელოვანი დანახარჯების  
მიუხედავად, კომპანია „საქნახშირი“ უსასყიდ-  
ლოდ გადასცეს სახელმწიფოს“, - ნათქვამია  
გავრცელებულ განცხადებაში.

## ტრამპი ევროპას ჩაბრახს!

ბერმანდის საგარეო საქმეთა მინისტრ-  
მა ჰაიკო მაასმა განაცხადა, რომ ევროპა ვე-  
ლარ შეძლებს მთლიანად თეთრ სახლზე  
დაყრდნობას და უნდა დაამყაროს აშშ-სთან  
ურთიერთობების ახალი გზა.

მანამდე, აშშ-ის პრეზიდენტმა დო-  
ნალდ ტრამპმა CBS-თან ინტერვიუში  
განაცხადა, რომ ის ევროკავშირის „კონ-  
კურენტად“ მიიჩნევს, რაც სავაჭრო ურ-  
თიერთობებს ეფუძნება.

„ჩვენ ვეღარ შევძლებთ შეუზღუდავად  
ვენდოთ თეთრ სახლს“ - განაცხადა მა-  
ასმა გაზეთ Westdeutsche Allgemeine Ze-  
itung-სთან ინტერვიუში. მისი თქმით, აშშ-სთან პარტნიორული

ურთიერთობების შესანარჩუნებლად, ევროპამ უნდა მოძებნოს  
ახალი გზა. ეს შესაძლებელია მხოლოდ „თვითდაჯერებული  
და დამოუკიდებელი ევროპის პირობებში“, ხაზი გაუსვა მი-



ნისტრმა და დასძინა, რომ ევროპის ქვეყ-  
ნები უნდა გაძლიერდნენ, როგორც მკაც-  
რიც არ უნდა იყოს ევროპალური შემო-  
ტევები და რაოდენ აბსურდულიც არ  
უნდა იყოს Twitter-ზე აშშ-ის პრეზი-  
დენტის განცხადებები. მაასმა აღნიშ-  
ნა, რომ ამერიკის პრეზიდენტის განცხა-  
დებები კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ  
„პოლიტიკური ატლანტიკა გაფართოვ-  
და“ მას შემდეგ, რაც ტრამპმა დაიკავა  
ქვეყნის ხელმძღვანელის ადგილი.



## „გაბრატოვანთა სახლის“

ოფიციალური  
პასუხი  
ქ-ნ მანანა  
სომეხიკს ⑥



### ალექსანდრა კონოპალოვი:

აშკარად ჩანს, რომ საქმე  
საქართველოს ნატოში  
მიღებისკენ მიდის... ③

„ჩვენამდე არ დადის,  
რატომ უნდათ  
სიკვდილის დაკანონება“ ⑦

„არასამთავრობოა  
საკუთარი ოჯახის  
წევრებს გააქათებინონ  
ნარკოტიკი“

ოსები დაოსდნენ ქართველთა სიძულვილით! ③

„ქართველთა ცდილობა, კვლავ მიითვისონ  
აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, -  
ამიბოვას სურთ ნატოში გაწევრება“

# საქართველოს ყირგიზეთის პრემიერ-მინისტრი ეწვია

OGP-ის სამიტის ფარგლებში, საქართველოს ყირგიზეთის დელეგაცია ეწვია პრემიერ-მინისტრის მუჰამადალი აბილ-გაზიევის ხელმძღვანელობით. თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში დახვდნის ოფიციალური ცერემონია გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გიორგი შარვაშიძემ.

მხარეები მიესალმნენ ყირგიზეთის მაღალი დონის მონაწილეობას ღია მმართველობის სამიტში და აღნიშნეს,

რომ ყირგიზეთის პრემიერ-მინისტრის ვიზიტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას შეიძენს ქვეყნებს შორის ორმხრივი ურთიერთობების შემდგომ გაღრმავებაში.

მუჰამადალი აბილ-გაზიევი შეხვედრებს გამართავს საქართველოს პრემიერ-დენტთან და პრემიერ-მინისტრთან. ყირგიზეთის პრემიერ-მინისტრი მონაწილეობას მიიღებს OGP-ის სამიტზე. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის ფარგლებში ყირგიზეთის დელეგაციის წევრები შეხვედრებს გამართავენ საქართველოს შესაბამის უწყებებში.



## 101 ხმით - თაღუმაძე ახალი მთავარი პროკურორი

101 ხმით, პარლამენტმა მთავარი პროკურორის თანამდებობაზე შალვა თაღუმაძე

აირჩია. თაღუმაძემ მთავარი პროკურორის პოსტი 6 წლის ვადით დაიკავა. თაღუმაძის წინააღმდეგ ხმა პარლამენტის ორმა წევრმა მისცა. პროკურორის არჩევა ფარული კენჭისყრით მოხდა.

## შალვა თაღუმაძე:

## ტექნიკური დაპატიმრება, სამართლიანობას აღვადგენთ 1030 წლის შემდეგ!

მთავარი პროკურორობის კანდიდატის, შალვა თაღუმაძის თქმით, სამართლიანობის აღდგენის ტემპი ძალიან დაბალია.

„საჯარო წყაროებით მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, დღეის მდგომარეობით, საქართველოს პროკურატურაში შეტანილია 52 530 საჩივარი სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით. ალბათ, გესმით ეს რა გამოწვევაა სახელმწიფოსთვის, როდესაც მოძალადე პროკურატურის პირობებში ჩვენ მივიღეთ 52 530 ადამიანი, რომელსაც განცდა აქვს, რომ ქვეყანაში უსამართლობა არსებობდა და განცდა აქვს სამართლიანობის აღდგენის.“

სხვანაირად არც შეიძლება, რომ ტემპი უკეთესი იყოს, რომ არ არსებობს სახელმწიფო და ადამიანური რესურსი, რომელიც ერთ და ორ წელიწადში 52 530 საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს. სამწუხარო ტემპია და ცოტა არასერიოზული ტემპიც არის, გამომდინარე იქიდან, რომ ამ სტრუქტურული ერთეულის მიღწევა არის წელიწადში 50 საქმე. თუ ამ ანგარიშს მივყევით, ჩვენ სამართლიანობას აღვადგენთ 1030 წლის შემდეგ, რაც არასერიოზულია სახელმწიფო ინსტიტუტისთვის, რომლის ფუნქცია სამართლიანობის აღდგენაა“, - განაცხადა თაღუმაძემ იურიდიულ კომიტეტზე.

## ქალისხმევს არ დავიშურებ, რომ წვლილი შევიტანო შრომის უსაფრთხოების სწორი და საჭირო სტანდარტების დამკვიდრებაში



ლაქში. მორიგი მსხვერპლი, დაშავებულები. ვიზარებ დალუპულთა ოჯახების ტრაგედია, გგლოვობ თითოეულ შეწყვეტილ სიცოცხლეს და ჩემი დღევანდელი პოზიციიდან ქალისხმევას არ დავიშურებ, რომ ჩემი წვლილი შევიტანო შრომის უსაფრთხოების სწორი და საჭირო

— ქალისხმევს არ დავიშურებ, რომ ჩემი წვლილი შევიტანო შრომის უსაფრთხოების სწორი და საჭირო სტანდარტების ერთხელ და საბოლოოდ დამკვიდრებაში, - ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ განაცხადა.

ის მინდელის შახტაში დაღუპულების ოჯახებს უსამძიმრებს.

„მორიგი ტრაგედია დატრიალდა მაღაროელების ქაღალტში. მორიგი მსხვერპლი, დაშავებულები. ვიზარებ დალუპულთა ოჯახების ტრაგედია, გგლოვობ თითოეულ შეწყვეტილ სიცოცხლეს და ჩემი დღევანდელი პოზიციიდან ქალისხმევას არ დავიშურებ, რომ ჩემი წვლილი შევიტანო შრომის უსაფრთხოების სწორი და საჭირო

სტანდარტების ერთხელ და საბოლოოდ დამკვიდრებაში“, - განაცხადა კალაძემ.

## „ქალაქი პრეზიდენტი“ - 10 პრეზიდენტო პარტიის გაერთიანება და პრეზიდენტი საპრეზიდენტო კანდიდატი

10-მა ოპოზიციურმა პარტიამ მოძრაობა „ქალაქი პრეზიდენტი“ დააფუძნა. ისინი საერთო საპრეზიდენტო კანდიდატს დღეს დაასახელებენ.

„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის ნიკა მელიას განცხადებით, საერთო კანდიდატს პარტიები დღეს წარადგენენ. „ახალი საქართველოს“ ლიდერის გიორგი ვაშაძის განცხადებით, გაერთიანებული ოპოზიცია დაასახელებს კანდიდატს, რომელიც მზად იქნება, საკუთარი თავი ქვეყანას მიუძღვნას.

გაერთიანებული ოპოზიციის რიგებშია პარტია „ემ-სახურე საქართველოს“ დამფუძნებელი მურმან დუმბაძე. მისი განცხადებით, ის ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც „ქართული ოცნება“ დატოვა.




გამომძიების დასრულებამდე ტყიბულში განთავსებული 25 შახტა დაილუქება, - ამის შესახებ იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა ბესიკ ამირანაშვილმა განაცხადა.

ამირანაშვილის თქმით, მიმდინარე გამოძიების ფარგლებში დაკითხვაზე იმყოფება „საქნახშირის“ ადმინისტრაციის ყველა პასუხისმგებელი პირი. ისინი გადაყვანილი არიან პოლიციაში დაკითხვაზე. დღესვე ტყიბულში არსებული ყველა შახტა დაილუქება გამოძიების დასრულებამდე. ასეთი არის სულ 25 შახტა, - აცხადებს ბესიკ ამირანაშვილი.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებით, შახტების დახურვის მიუხედავად, დასაქმებულებს ხელფასები აუნაზღაურდებათ:

„მინდელის სახელობის შახტაში გუშინ დილით მორიგი ტრაგედია დატრიალდა. მთელი გულით ვუსამძიმრებ დაღუპულთა ოჯახებს და თანადგომას ვუცხადებ ამ მძიმე წუთებში.“

სახელმწიფო ვერ დაუშვებს საკუთარი მოქალაქეების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაუცველობას. ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება შახტის დახურვის შესახებ. მომხდარზე მიმდინარეობს გამოძიება და ყველა პა-



## „რას გვიპირიბენ, უნდა მოგვკლან?“

სუსისმგებელი პირი დაისჯება კანონის სრული სიმკაცრით. შახტი არ განაახლებს მუშაობას, ვიდრე არ დასრულდება როგორც სისხლის სამართლებრივი გამოძიება, ისე მაღალკვალიფიციური საერთაშორისო საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა. შახტში დასაქმებულებს ამ პერიოდის განმავლობაში აუნაზღაურდებათ ხელფასი, - აცხადებს მამუკა ბახტაძე.

ტრაგედიის ადგილზე იმყოფება „საქნახშირის“ უსაფრთხოების სამსახურის უფროსი გელა გაბინაშვილი. მისი განცხადებით, შახტაში უსაფრთხოების ნორმები დაცული იყო და მომხდარის მიზეზს გამოძიება დაადგენს. გაბინაშვილი ვარაუდობს, რომ ადგილი ჰქონდა „გადაცდომებს“:

შახტების დახურვის გადაწყვეტილებას ადგილობრივი

მოსახლეობის პროტესტი მოჰყვა. როგორც შახტის თანამშრომლები აცხადებენ, ქალაქში დასაქმების ერთდერთი საშუალება შახტია და მისი დახურვის შემთხვევაში ტყიბულის მოსახლეობა შემოსავლის გარეშე დარჩება. მოსახლეობა მსგავსი ზომების ნაცვლად, უსაფრთხოების ზომების მიღებას ითხოვს.

„ერთ წელიწადში 12 კაცი მოკვდა. სამთო დარტყმამ დაწვა ხალხი? სამთო დარტყმისას მოდის ტალღა და ტალღამ შეიძლება დაგამტვრიოს და ცეცხლი გწვავს. აფეთქება მოხდა, დამწვარია ხალხი. არ იციან ხომ, რა მოხდა? გვემუქებიან შახტის დახურვით, რას ჰქვია შახტებს დახურვა? ჩვენ რას გვიპირებენ? ხუთი ბინა აქვთ თვითონ თბილისში და ჩვენ რა ვქნათ? რას გვიპირებენ, უნდა მოგვკლან? გამოძიებამ დაადგინოს, იმას უნდა მოეკითხოს, რატომ არ არის უსაფრთხოების ზომები დაცული. სდიონ იქ, სადაც გაზია. მესამე ცვლაში რომ არ ჩართეს, მეოთხე ცვლაში რატომ არ წავიდა, ვისაც ვვალე, რა მოხდა? ფული ხომ კარგად აქვთ, ამხელა ხელფასები?“ - ამბობს შახტის თანამშრომელი.

ტყიბულის შახტაში მომხდარ ტრაგედიას პროფკავშირები კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზებს უკავშირებენ. საქართველოს პროფესიული

კავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილის თამაზ დოლაბერიძის განცხადებით, არ არსებობს სანქციები და მისი აღსრულების მექანიზმები, რაც აიძულებს დამსაქმებელს, რომ დაიცვას დასაქმებულის შრომისა და სიცოცხლის უფლება.

გარდა ამისა, დოლაბერიძე გამოძიების ხარვეზებზეც საუბრობს და ამბობს, რომ არც ერთი წინა ტრაგედიის გამოძიება არ მისულა ბოლომდე.

„სამწუხაროდ, ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფოს, ერთი მხრივ, საკანონმდებლო პრობლემები გააჩნია, სარეგულირებელი კანონმდებლობა, არასაკმარისია კანონმდებლობა და მეორე აღსრულების მექანიზმები. უკვე მერამდენე შემთხვევა და ჩვენ არც ერთ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიების პასუხი არ ვიცით, ვინ არის დამნაშავე, ვინ არის დასასჯელი, ვინ არის დასჯილი და ა.შ.“ - აცხადებს დოლაბერიძე.

ტყიბულის შახტაში გუშინ დილით მომხდარი ინციდენტის დროს 4 ადამიანი დაიღუპა, 6 კი დაშავდა. ფაქტზე დაწყებული გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლით, რაც სამთო სამუშაოებში სამუშაოების დროს უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს.

## აღეხსანდრა კონოვალოვი:

აუკარად ჩანს, როგორ სავსე  
საქართველოს ნაპოში  
მიღებისკენ მიდის...



– თქვეს რომ ქართველ სამხედრო მეთაურებს პირადული საუბრის დროს ჰქონოთ – „მინც რისი მიღწევა გსურთ ნათქვამი განცხადებით“, საექვოა მათ გიპასუხონ – „გვინდა ახალი დასავლური იარაღი“. ისინი გეტყვიან, რომ „უპირველეს ყოვლის გვინდა გარანტიები, რომ „რუსეთის მხრიდან აგრესიის“ შემთხვევაში დასახმარებლად ნატოს ჯარი მოვა“.

— რა თქმა უნდა, ცუდი სურვილი ნამდვილად არაა... მაგრამ შორეული საქართველოს გულისთვის ევროპა რუსეთის წინააღმდეგ ომში არ ჩაებმება..

— მაგრამ ფაქტია, რომ „რუსეთისგან დაცვა“ ნატოს ჯარების მეშვეობით საქართველოს ალიანსში გაწევრების მთავარ მიზანს წარმოადგენს. ფაქტია, რომ

საქართველოს ჩვენი ეშინია. ქართველებს უკვე აქვთ საჩვენებელი სეფეროში უკუდი გამოკლებილება მჭიდროდ მიმართებით. ისინი ოცნებობენ ევროპული სტანდარტებით მშვიდად იცხოვრონ და არა ისე, როგორცაა ჩვენ ვთავაზობდით თავის დროზე.

— და მაინც, მართალია, საქართველო სრულად ჯერ კიდევ არ აკმაყოფილებს ნატოს სტანდარტებს, მაგრამ იქნს სტოლტენ-ბერგის განცხადების მიხედვით გამოდის, რომ მას უახლოეს ხანში ნატოს წევრად მაინც მიიღებენ?

– ვფიქრობ, რომ ასე იქნება. ყოველ შემთხვევაში, აშკარად ჩანს, რომ საქმე მიღებისკენ მიდის, რუსეთს კი რეალური ბერკეტი არა აქვს ამ მოძრაობის შესაჩერებლად.

— მაგრამ განეწვერების კანდიდატს სომ არ უნდა ჰქონდეს თავის ტერიტორიაზე კონფლიქტები და ტერიტორიული დავები? საქართველო კი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემები აქვს. როგორ ხდება ხოლმე ასეთ დროს?

– რა თქმა უნდა, ეს მნიშვნელოვანი პრობლემაა, მაგრამ ჩემი აზრით, სანამ ნატოსაგან ფორმალურ შეთავაზებას მივიღებს, თბილისი ამ პრობლემის მოსაგვარებლად რაღაც პრაქტიკულ ნაბიჯებს გადადგამს. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველო შეეცდება მეზობლებთან ურთიერთობის მოგვარებას. შესაძლოა, საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ვერ მოხერხდეს, მაგრამ რაღაც „საგზაო რუკა“, ალბათ, იქნება, რომელიც ანკეობს როგორც კონფლიქტის მხარეებს, ასევე დასავლეთსაც.

— რამდენად არის შესაძლებელი, რომ ქართული გზით უკრაინამაც ისარგებლოს? მასაც ხომ ალიანსში გაწევრების პრეტენდენტად ასახელებენ...

– ვფიქრობ, რომ არა. უკრაინა საქართველოს ვერ შეედრება, ეს არაკორექტული იქნება. საქართველო შეიძლება შევაღარო ჩერნოგოროსი იმ თვალსაზრისით, რომ რუსეთს მსგავსი პატარა ქვეყნების მიღება დღეს მაინცდამაინც აღარ ალელევებს. უკრაინა სხვა საქმეა. რუსეთს და უკრაინას იმდენი რამ აკავშირებთ, რომ რუსეთისათვის კიევის ნატოში გაწევრებას სულ სხვა მნიშვნელობა აქვს. მით უმეტეს, რომ არსებობს აღმოსავლეთ უკრაინის საკითხი, დონბასი, ოდესა.... ნატომ რომ ეს ტერიტორიები გააკონტროლოს, ამ მიმართებით რუსეთის პასუხი მკვეთრად უარყოფითი იქნება.

— ანუ თქვენ თვლით, რომ უკრაინის ნატოში გაწევრება ძალიან შორეული მომავლის საქმეა?

— ძნელია ამის თქმა. ჩვენ დროში ყველაფერი სწრაფად ხდება... მაგრამ მაინც მგონია, რომ საქართველოსა და ჩერნოგორიის „საგზაო რუკა“ უკრაინისთვის არ გამოადგება. საქართველო და ჩერნოგორია რუსეთისთვის შედარებით უფრო ნაკლებადმნიშვნელოვანი ქვეყნებია, ვიდრე უკრაინა. თბილისისგან და პოდგორიცასგან მოსკოვს არაფერი ეშუქრება, მაგრამ უკრაინას რაც შეეხება, რუსეთი არ დაუშვებს, რომ ეს ქვეყანა ნატოს პლატფორმაზე გადაიქცეს.

„МОСКОВСКИЙ КОМСОМОЛЕЦ“ (ရုရှား)

ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა, ბრიუსელში, საქართველოს პრეზიდენტთან გიორგი მარგველაშვილთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ „საქართველო ნატოს წევრი გახდებაო“, მაგრამ, ჩვეულები-სამებრ, კონკრეტული ვადები არ დაუსახე-ლებია. სამაგიეროდ, მან თბილისი ტრადი-ციულად დამოშვიდა, რომ „ალანისა საქარ-თველოს მიმართ პოლიტიკური და პრაქტი-კული დახმარების განცეას გააგრძელებს“.

სხვათა შორის, ამ მხრივ უკრაინას არანაირი გარანტიები არ მიუღია. გა-მიოდის, რომ ნატოში გაწევრების სა-კითხში საქართველოს უფრო მეტი შან-სი აქვს, ვიდრე უკრაინას!? მართალია, ბოლომდე ჯერ ყველაფერი გარკვეული არაა, მაგრამ მაინც აშკარაა, რომ ნატოს სტანდარტებს საქართველო უფრო მე-ტად აკმაყოფილებს.

საერთოდ, ნატოს სტანდარტები არ იმშავს იმას, რომ ყველა ერთნაირი იარაღი უნდა ჰქონდეთ – ტანკები, რაკეტები, ავიაცია, საშენებო და სხვა. სტანდარტები, პირველ რიგში, კანდადატი ქვეყნის ჯარების საბრძოლო შეთავსებას, გულისხმობს ნატოს წევრების ჯარებას.

ამ თემაზე გაზეთ „МОСКОВСКИЙ КОМСОМОЛЕЦ“-ის ჟურნალისტი ესაუბრა სტრატეგიული შეფასებების ინსტიტუტის პრეზიდენტს, პოლიტოლოგ **ალექსანდრე კონოვალოვს.**

— როგორია სტანდარტები საბრძოლო იარაღის მიხედვით? რამდენადაც ცნობილია, საქართველოს და ბაღლტის ქვეყნების, ასევე უკრაინის ხელშეკრულების ორგანიზაციის ყოფილ წევრი-ქვეყნების არმიები დღესაც ძველი საბჭოთა იარაღით არიან აღჭურვილი...

... იარაღის სტანდარტების თვალსაზრისით ნატოში საქმე მაინცდამაინც ხისტად არ დგას. მაგალითად, სსრ კავშირის დაშლის შემდეგ ალიანსის ახლადმიღებული ქვეყნების არსენალში ჯერ კიდევ ბევრია საბჭოთა პერიოდის იარაღი. ნატო ამას მშვიდად უყურებს: აბა, რომელი ქვეყანა დაიწყებს დამატებით იარაღის წარმოებას ახალი წევრებისათვის? ეს სრულიადაც არ არის სავალდებულო...

— გამოდის, რომ ამ თვალსაზრისით საქართველო მაინცდამაინც არ პასუხობს ალიანსის სტანდარტებს, მაგრამ მასში მაინც გაწევრდება?



**„ქართველები ცდილობენ, კვლავ მიითვისონ  
აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, -  
ამიტომაც სურთ ნაბოვი განეგრძება“**

ცნინვალები სპარტ-  
ველოს ჩრდილოატლანტი-  
კურ ალიანსში შესაქლო გა-  
წვრთვაში კვლავ აღადგუ-  
რად სავრობის ხელახვან.  
ამაზე მეტველებს ოპუნი-  
რებულ რევიონში ჩატარე-  
ბული მცირე გამოკითხვის  
შედეგებიც.

— როგორ ფიქრობთ, ექნება თუ არა საქართველოს ნატოში მიღებას რაიმე გავლენა სამხრეთ ოსეთზე?

**შეკითხვა № 2:** რა თქმა უნდა! (თბილისში) ძალიან ცდილობენ, კვალად მიითვისონ სამხრეთ სოსეთი და აფხაზეთი, როგორც თავის დროზე გააკეთეს. ამიტომაც სურთ ნატოში გაწევრება. ვფიქრობ, უნდა გვაშვოთებდნენ, თუმცა მგონია, რომ ჩვენი სელმძღვანელობა არანა-

იზრუნოვანების არ დაუშვებს. ამისთვის ხომ არ უბრძოლიათ ჩვენს ბიჭებს სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობისა და მთლიანობისთვის? და აფხაზებსაც. დაგვანებოს საქართველოთავე. მათთვისვე იქნება უარესი, თუ კვლავ ომს წამოიწყებენ. წავიდნენ, სადაც უნდათ.

**პაპად ქ:** თუ რუსეთი უკმაყოფილოა იმით, რომ ნატო მის საზღვრებს უახლოვდება, მაშინ ჩვენ რაღა უნდა ვთქვათ? ჩვენ ხომ ბევრად უფრო მცირე სახელმწიფო ვართ, რომელსაც რუსეთი ასულდგმულებს. შესაბამისად, როგორც ისინი მოქმედებენ, ისე უნდა ვიმოქმედოთ ჩვენც. თორემ ზოგადად, ჩემი აზრით, სამხრეთ სოსეთისთვის საუღერით უნდა იყოს. სამხრეთ სოსეთი თავად უნდა მოძლიერ-

დეს და აღარავისი ეშინოდეს.

**დუნიან ჩ.** ჩემი აზრით, ძალიან ცუდი იქნება, თუ საქართველო ნატოში გაწევრდება. ვითარება ჩვენს კოვლავ, მთლიანად რეკასიაში კვლავ აირევა. ცხადია, ნატოს ჯარები საქართველოში შევლენ, მას კი ჩვენზე თავდასხმისგან მხოლოდ სამხრეთი ოსეთი მდგომარეულობითი ფაქტორი აკავებს. ნატოს მხარდაჭერით საქართველო შესაძლოა, კვლავ დაგვესხას. ეს არ უნდა დავუშვათ. ისედაც ცოტანი დავრჩით და რა, სულ უნდა გავქრეთ?!

**ალინა დ.:** რა თქმა უნდა, ამას სამხრეთ ოსეთზე გავლენა ექნება. ამისგან კარგს არაფერს უნდა ველოდოთ. ვფიქრობ, უკეთესი იქნება, საქართველო ნატოში არ გაწევრიდეს.

**სალიზა ზ:** რა თქმა უნდა, ეს მნიშვნელოვანია. რა კითხვები შეიძლება, იყოს? ნატო რუსეთის მიმართ არამეგობრულ პოლიტიკას ატარებს, ხოლო ყველაფერი, რაც რუსეთს ეხება, გვეხება ჩვენც. ასე ვთვლი და ალბათ, მართალი ვარ. პოლიტიკაში დიდად ვერ ვერკვევი, თუმცა ვთვლი, რომ ნატოში საქართველოს განცევრებაში უფრო მეტი მიზნის იქნება. ეს ხომ ჩვენი საზღვარია და რამე რომ იყოს, ალბათ, ცუდ დღეში ჩავყრდებით. მაგალითად, სამხედრო აგრესიის შემთხვევაში. თუმცა არ ვარ დარწმუნებული, შესაძლოა, ცვდები და ეს პირიქით, შემთავრებული ფაქტორი აღმოჩნდება.

**„പഠിക്കുക“**

**დედაქასებმა კიღევ  
ეროვნულ აიშვენს!**

პარლამენტში „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი თინა ბოკუჩავა და იურიდიული საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია ერთმანეთს დაუპირისპირდნენ.

კამათი პარლამენტში მთავარი პროკურორის კანდიდატურის განხილვისას დაიწყო, როდესაც თინა ბოკუჩავამ ტრინიანაზე გამოსვლისას მმართველი გუნდი და ეკა ბესელია ჯაშუშების საპატიო ნიშნად გათავისუფლებაში დაადანაშაულა. ამის შემდეგ, ეკა ბესელიამ ბოკუჩავას „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდი შეასენა და თქვა, რომ ყოფილი სახელისუფლო გუნდი ოპონენტებს ჯაშუშობის მოტივით დევნიდა.

მან ბოკუჩავას უთხრა, რომ ამ პერიოდში მიხეილ სააკაშვილისგან საჩუქრად ოქროს სამაჯური მიიღო. ეკა ბესელიას სიტყვით გამოხატვის შემდეგ თინა ბოკუჩავა სიტყვას უთხრავდა, მაგრამ პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ ითხრა, რომ საკითხი განხილულია და ხუთწუთიანი ტექნიკური შესვენება გამოაცხადა. შესვენებაზე თინა ბოკუჩავა და ეკა ბესელია ერთმანეთს სიტყვიერად დაუპირისპირდნენ.

ბოკუჩაგამ ბესელიას უთხრა, რომ 2004 წელს ის დაფინანსებით სწავლობდა, მაშინ როდესაც მისი შვილი იარაღითა და დანებით დარბოდა... „შე სამარცხვინო ქალო. შენ გგონია, რომ გაგივა ხო, ეს ყველაფერი? 2004 წელს დაფინანსებით ვსწავლობდი, რომელიც ამერიკაში მომცეს იმიტომ რომ შენი შვილის მსგავსად იარაღითა და დანებით კი არ დავრბოდი, ვსწავლობდი. ძალიან კარგად იცი შენ ჩემი წარსული. ენას კბილი დააჭირე, შე მაიმუნო ქალო. ასეთ ტყუილს ეკა მე არ გაპატიებ და ძალიან კარგად იცოდი, რომ არ გაპატიებდი“, – უთხრა ბოკუჩავამ ბესელიას. ვითარების განმუხტვას და თინა ბოკუჩავას დამშვიდებას პარლამენტის თავმჯდომარე და დეპუტატები ცდილობდნენ.



**დღეს** გავრცელებული მოარული აზრია, თავისუფლებამ კი არ მოგვითქვამს ამდენი სიბინძურე, თავისუფლებამ გამოაჩინა ადამიანის ბუნებაში დაგროვილი მახინჯი თვისებები.

დიახ, ადამიანის მეხსიერება (დანყე-ბული გამოქვაბულის დროიდან დღემდე) მრავალი არქეტიპულ ჩანასახს ატარებს, მაგრამ სწორედ ქვეყნად არსებული საზოგადოების ცხოვრების წესის შესაბამისად გამოვლინდება თითოეული მათგანი.

უფრო ფორტიანადაც უთქვამს ტოლსტოის: „ყოველი კაცი ადამიანური თვისებად ყველა ჩანასახს ატარებს, გარემოების შესაბამისად ხან ერთს გამოავლენს და ხან მეორეს, ზოგჯერ საერთოდ არ ჰგავს საკუთარ თავს“.

სპენსერი კი პირდაპირ მიუთითებს: „ხელისუფლების ვალია, კარგი, მაღალზნეობრივი თვისებები განუვითაროს ერის ხასიათს“.

მართალია, თავისუფლება „პირველი სიკეთეა კაცისა“. თუმცა, „ერთის თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვის თავისუფლება“ და „ქვეყნად ადამიანი არ არსებობს, თავისუფლება რომ არ უნდოდეს. მხოლოდ სამართლიან ადამიანს ყველასთვის უნდა თავისუფლება, უსამართლოს კი – მარტო თავისთვის“ (ლუდვიგ ბერნე გერმანელი მწერალი, 1786-1837).

რამდენი სიმბოლური წარმოსახვა არსებობს თავისუფლების, ადამიანის სულის შესახებ და რა ფართო დიაპაზონი აქვს ამ წარმოსახვებს – პეპელა, ცხენი და ბოლოს – ღორი.

ალბათ, ყველა პერიოდს მისთვის და მახასიათებელი თავისუფლება აქვს – ადრეულ ხანაში თავისუფლება პეპელის სიცოცხლის მსგავსად, ხანმოკლე და მირაჟულია!!! შემდეგ პერიოდში – ცხენით მართული და შეუპოვარიც (გავისხენოთ ბარათაშვილის „მერანი“, გალაკტიონის „ლურჯა ცხენები“ და მიცკევიჩის „ფარისი“) და ბოლოს ღორიც, რომელსაც ასევე თავისუფლების სიმბოლოდ აღიქვამენ, ალბათ, საღვადო დალიმ, ამ ზედმიწევნით თავისუფალმა ადამიანმა, იქნებ იმიტომ აირჩია ფსევდონიმად „მწვანე ღორი“, რომ ადამიანის ღორობას მწვანე შუქი უნთია დღეს ჩვენს სამყაროში!

ნათა, როდის გვეღირსება ის დრო, როცა ძალა და თავისუფლება ერთად სამართლიანობის დასაბამად გამოვლინდებოდნენ მხოლოდ!!!

„მართალია, მაინცადამაინც დიდი აზრის არ ვარ ჩვენს საზოგადოებაზე, მაგრამ, დამერწმუნეთ, თავად განვიცადე ამას საზოგადოების გარეშე ქვეყანა არ არსებობს. საზოგადოების სიყვარვე განსაზღვრავს ქვეყნის კეთილდღეობას, საზოგადოების სიჯანსაღე განსაზღვრავს ხელისუფლების ხარისხს“, წერს **ოტბარ ჟილიაძე** და **ძენელია, არ დაეთანხმო**.

ამიტომ აუცილებლობად მიმაჩნია, განემარტოთ რა იდეოლოგიური სურათი იკვეთება ჩვენს რეალობაში და რა საფუძვლებზე ვითარდება დღეს ადამიანი?!

დიახ, ჩვენთან ახლა ტიპური **ევზისტენციალიზმი**. გამოიკვეთა ადამიანის ბიოლოგიური სახე, დაკნინებული ფსიქიკით. სამწუხაროდ, ევზისტენციალიზმი ვერ განაპირობებს ადამიანის სულიერების ზრდას, მით უფრო, სოციალურ ფენათა ასე ძალზე არათანაბარი ცხოვრების პირობებში!

პირიქით, ევზისტენციალიზმმა გადმოაპირქვევა ადამიანი და მისი ყველა უარყოფითი თვისება ზედაპირზე ამოატივტივა!

მართალია, ევზისტენციალიზმის ფუძემდებლებსა და მიმდევრებს: **ჟან-პოლ სარტრის, კირკეგორს, ჰაიდეგერს, კამიუსა** და სხვებს ჰქონდათ თავიანთი იდეალი და მორალური ღირებულებები, მაგრამ ამ მცდელობამ ის შედეგი ვერ გამოიღო, რასაც საზოგადოება მათგან ელოდა, რადგან ევზისტენციალისტები არ ითვალისწინებენ, რომ ნებისმიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილება ვერ ამონურავს ადამიანის სურვილებს! (მათ ნაწარმოებში, ზოგჯერ ამ გზით (თუ მართლა ღორობით), საკუთარი ქალიშვილის სარეცელამდეც კი მიდიან!).

სამაგიეროდ, საერთოდ ფარისევლობად მიიჩნევდნენ სარწმუნოებას (განსკუთრებით კირკეგორი) და მის პრინციპებს – ამას ადამიანზე ძალდატანებას უწოდებდნენ. ეკლესიაში სიარულს სისულელედ, თვალთმაქცობად თვლიდნენ. მის საპირისპირო ახალ იდეოლოგიის ჩამოყალიბებას ცდილობდნენ და ბეკეტის გამრეხივით ახალი გოდოს, საგულისხმო, ახალი ღმერთის მოლოდინში იყვნენ.

ამ მოსაზრებას ბევრი მიმდევარი ჰყავს. მათ ავნიწყდებოდა, რომ, თუ ნებისმიერ პროფესიასა თუ სპორტის ყველა სახეობას მრავალი წვრთნა, მეცადინეობა და ვარჯიში სჭირდება, რწმენასა და სულიერებას ლოცვის, მარცხისა და სულიერი გარჯის გარეშე როგორ გააყვარებენ?!

არ ვიცი, ახალი ველოსიპედი რამდენად უკეთესი გამოდის ხოლმე, მაგრამ **„ევზისტენციალიზმი არა მხოლოდ**

**ბის დაკმაყოფილება სულიერი დაკნინების ხარჯზე წარმართოს. მაშინ შეუძლებელი იქნება ადამიანურ საწყისში ჩვენი არსებობის გამართლება. ამ შემთხვევაში ადამიანი ღვთიური შემოქმედების უნარსაც დაკარგავს. ბიოლოგიურ მოთხოვნილებებს მგელიც და ტურაც მშვენივრად იკმაყოფილებს და ინდივიდუალობასაც ინარჩუნებს. ჩვენ ცხოველებსგან ძირითად, სწორედ ჩვენი სულიერი, ღვთიური შესაძლებლობებით განსხვავდებით!**

– თან, სინდისი სულიერების გარეშე რთული წარმოსადგენია! გარდა ამისა, როგორ შეიძლება სულიერების დამკნინებელი რამ ღირებულებად ჩავთვალოთ და ადამიანური ბიოლოგიური მოთხოვნილების დაკმაყოფილების აუცილებლობა რეალურ სინდისად? სწორედ ასეთმა სინდისმა გახადა ადა-

ავტენტური მე ჯანმრთელ, გამთლიანებულ ცენტრს წარმოადგენს, ზედმეტი კლიშეებისა და აკრძალვების გარეშე, რომლებიც თურმე ართულებს ცხოვრებას!

ისინი არ ითვალისწინებენ, რომ ადამიანები, როგორც ფიზიკურად განსხვავდებიან ერთმანეთისგან ისე, ყოველი ადამიანის ეგო (ავტენტურს დავარქმევთ მას თუ პატენტურს), განსხვავებულია და მერე როგორ – ვილდის შეიძლება ჯანმრთელია, მაგრამ ადამიანის მოთხოვნილებები რამეთი თუ არ იქნება მოთოკილი, სანამდე მივალთ?!

**თან ეს იგივეა, რომ ვივარაუდოთ და იმადი გვქონდეს, რომ ყველა ადამიანი კეთილშობილია, ყველა ძალი მარტონი მონოს მსგავსად მშვენიერი და ყველა მამაკაცი მამაკაცი და სუპერმენია. თუმცა, ჩვენ ხომ ვი-**



## ანუ რატომ ავიდა უფალი ჯვარზე?!

**როდის, რა დროს გვაგებინებს პასუხს განგება ჩვენ მიერ ჩადენილ შეცდომებზე თუ სხვების მიერ ჩადენილ ბოროტებაზე, არასდროს ვიცით. ეს აბ-**

**სოლუტური გონის, შემოქმედის გაკვეთილია კაცობრიობის მიმართ, ჩვენც მხოლოდ ასეთ ფორმატში შეგვიძლია არსებობა!**

კლასიკურ იდეალიზმს უპირისპირდება, არამედ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ევროპული აზროვნების ჰეგელი-სეულ თვალსაზრისსაც – წერს **ზურაბ კაკაბაძე**.

მათ თითქოს უფრო მისაწვდომი, ახალი ღირებულებების შექმნა უნდოდათ! ისინი ადამიანის თავისუფლებას, ინდივიდუალური ფიზიკური, ბიოლოგიური ბუნების გამოვლენისა და მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში ხედავდნენ და ამას ქადაგებდნენ კიდევ. მოთხოვნილებებს კი ყოველგვარი რელიგიური თუ კოლექტიური საზოგადოების კანონების გარეშე აყალიბებდნენ. ამის გამო მიენიჭა კიდევ **ალბერტ კამიუს** ნობელის პრემია და ამიტომ უწოდეს **„დასავლეთის სინდისი“**, რადგან ძალიან ბუნებრივად და გულწრფელად გამოხატავდა საკუთარ ბიოლოგიურ მოთხოვნილებებს, სიამოვნებისკენ და ბედნიერებისკენ სწრაფვას და ამის შესაბამისად, განმარტა კიდევ ზოგადად სინდისი! თუმცა, ძნელია დაასახელო, ბედნიერებას მიღწეული, მისი რომელიმე პერსონაჟი!

შესაბამისად, ასეთია ბიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებებით დაკავებული და უზრუნველი ცხოვრების მოყვარული ჩვენი დღევანდელი ადამიანისა და საზოგადოების საგულისხმო ნაწილის რეალური სახე, თავისი შედეგებით!

არადა, ადამიანი კოლექტივისა და საზოგადოების გარეშე ძალიან მარტოსულია, გარდა ამისა, **ადამიანში ღვთიური შემოქმედების დიდი პოტენციალია ჩადებული. ამიტომ, არ შეიძლება მისი ფიზიკური, ბიოლოგიური მოთხოვნილებე-**

მიანი ძალიან მარტოსული და გადააქცია იგი დეპრესიულ არსებად!

მართალია, ევზისტენციალისტები მიიჩნევენ, რომ ადამიანის რეალური სახე და ღვთიური შესაძლებლობებიც თავისუფლების დროს გამოვლინდება, როცა არავინ აძალავს – ასე მოიქცეს თუ ისე!

თუმცა, სად არის, მერე, ეს თავისუფლება? როდის იყო და ან არის ადამიანი თავისუფალი?

აი, თუნდაც ევზისტენციალურ რეალობაში, იგი ჭაღრაკის ფიგურების მსგავსად, კაზუალურ რიგშია ჩართული და მისი ქმედებები გარემოებების მხრივია განსაზღვრული. ამიტომაც წუხს, ხან მარტოსულობით იტანჯება და ხან სუიციდით წყვეტს არსებობას. **უჭირს ადამიანს, როცა ქვეყნის იდეოლოგია მას არ ეხმარება და კარგ თვისებებს არ აწვითავს მასში. რეალურად ადამიანი სავსებით მოკლებულია თავისუფლებას, ანუ იგი თავისუფალია მხოლოდ ნაწილობრივ და ფარდობითად.**

როდის, რა დროს გვაგებინებს პასუხს განგება ჩვენ მიერ ჩადენილ შეცდომებზე თუ სხვების მიერ ჩადენილ ბოროტებაზე, არასდროს ვიცით. ეს აბსოლუტური გონის, შემოქმედის გაკვეთილია კაცობრიობის მიმართ, ჩვენც მხოლოდ ასეთ ფორმატში შეგვიძლია არსებობა!

სამწუხაროდ, დღეს თანამედროვე ფსიქოლოგია სუპერ ეგო-ს განიხილავს, როგორც უსარგებლო სტრუქტურას, რომელიც ავტენტური მე-თი იცვლება, რათა უფრო ადვილი, მარტივი იყოს ცხოვრება, მართალი იყოს ადამიანი თავის თავთან და დაიკმაყოფილოს საკუთარი მოთხოვნილებები... თითქოს ჩვენი

ცით, რომ რამდენი სადისტი, ავაზაკი, ბოროტმოქმედი არსებობს ქვეყანაში! ჩვენ ყველანი სხვადასხვა ათვლის წარტილიდან მოვდივართ, საკუთარი განმეორებით, თუ კარგული მოცემულობით და ამის შესაბამისი ტორსული (სხვაუბარივი) გამტარებით და შესაბამისი ქმედებებით.

– ისიც ხომ ცნობილია, სუპერ ეგო ადამიანის სულიერი ცენტრი, ანუ – სინდისია. სინდისი კი, სხვადასხვა დიპაზონით შემოღწეული ღმერთის ხმაა ადამიანში. ამიტომ, მავანისა და მავანის სინდისიც და სულიერებაც სხვადასხვა დონით ახმინებს აბსოლუტური გონის ჭეშმარიტებას, ცოდნასა და ინფორმაციას. სუპერ ეგო, კანონისთვის დაფარულ რეალობაში, კავშირი და მაკონტროლებელია ადამიანთან ურთიერთობაში და აწესრიგებს ადამიანის დამოკიდებულებას სამყაროს მიმართ!

– დიხს, დამკვიდრებული მორალური კანონებითა და კარგი ზნეობრივი მატალითით ადამიანის სინდისისა და სულიერების ამაღლება შესაძლებელია. სწორედ სუპერ ეგო-ს განდევნა გამოიწვევა დასავლეთში და უკვე ჩვენთანაც ადამიანთა გაუცხოება, იზოლაცია, გახშირებული დეპრესიები და უამრავი უარყოფითი ემოციებით გამოწვეული ნარკოზისა თუ სუიციზმი.

– მართალია, ადამიანის რთული ენერგოსისტემა ენერგიის მუდმივობის კანონს ექვემდებარება, რომელიც ძირითადად ორ ინსტინქტურ მოთხოვნილებებში – სიცოცხლისა და სიკვდილის ინსტინქტებს შორის – ეროსსა და თანატოსში გამოვლინდება!

სამწუხაროდ, ეგზისტენციალიზმი და ძირითადად, თანამედროვე დასავლური ხელოვნება, გაცილებით ხშირად, მეორეს – თანატოს უკმევს გუნდურს, რომელსაც საფუძვლად უდევს ყოველგვარი დესტრუქციული ქცევა – აგრესია როგორც სხვების, ისე საკუთარი თავის მიმართ, საბოლოოდ კი – სიკვდილისკენ სწრაფვა! (გავიხსენოთ საშინელებათა ფილმები და სერიალები).

არადა, აქამდე მსოფლიოს კლასიკური ხელოვნების მთავარი და ძირითადი მუზა, სწორედ, ეროსი გახლდათ, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პროცესებს – სიყვარულზე, გამრავლებაზე მიმართულ მოთხოვნილებებს აერთიანებდა... შეიძლება ითქვას, ეროსსა და თანატოს შორის აუცილებელ ბრძოლას ასახავდა, მაგრამ მათ შორის საჭირო ბალანსს აწონასწორებდა!

სწორედ ეს ბალანსია დღეს ძალიან დარღვეული. თან, ისიც ხომ მართალია, რომ ის, რაც სიცოცხლის ინსტინქტის – ეროსის, სიყვარულისა და გამრავლების სანაღამოდგება, დესტრუქციულია და აგრესიას, საბოლოოდ კი, სიკვდილს განაპირობებს. არ შეიძლება ამ ბრძოლაში არჩევანი თანატოსზე (სიკვდილზე) გავაკეთოთ!

სწორედ ასე, თანდათან დაკარგა სიცოცხლის საზრისი ადამიანმა, რადგან, თითქმის ყველა თანამედროვე ხელოვნების მიმდინარეობაში, სწორება სწორედ თანატოსზე გავრცელებული. ხელოვნება კი საგულისხმოდ განსაზღვრავს ადამიანის მსოფლმხედველობას. წინა საუკუნეებთან შედარებით რამდენადაც გაიზარდა ადამიანის შესაძლებლობები, იმდენად მოიმატა სუიციზმა, დეპრესიამ, რადგან სოციალიზაციის პროცესია შეჩერებული და სოციალურად არასამართლებრივი ცხოვრების წესია დამკვიდრებული!

თან იმდენ აპოკალიფსურ ფილმს იღებენ და ცუდს წინასწარმეტყველებენ, თითქოს ცუდისკენ მიისწრაფიან – არადა, ცუდის დაკვეება საშიშია. ადრეულ საუკუნეებში მეფეები ცუდი ამბის მომტანსა და გამჟღერებლებს ხოცავდნენ (არავინ იფიქროს, იმავს მოვიტხოვ). ჩვენ ჩავრთავთ თუ არა ტელევიზორს, დედამიწის რომელი პოლუსზე რამდენი კაცი მოკლეს, ყველაფერი დილაადრიანად უნდა გავიგოთ და დღის ბოლომდე უნდა ვისმინოთ... იმ ლოგიკით, რომ გლობალიზაციის ეპოქაში ვცხოვრობთ, დედამიწა ჩვენი მისამართი!

გვასოვდეს, ადამიანს განსაზღვრული შესაძლებლობა აქვს უარყოფითი ემოციისა თუ ინფორმაციის მიღების და მისი სწორი ანალიზის, ზღვარს იქით ეს მიმღეობა ცდევია და ანალიზიც არაადეკვატური ხდება. ეს ეტყობა კიდევ ჩვენს ცხოვრებას!

გლობალიზაციას კატასტროფების თავიდან ასაცილებლად აქვს აზრი – არადა, კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელი არსებული ეკონომიკური კონკურენციის გამო გაეროს ეკოლოგიურ კონვენციებს ბევრი დიდი სახელმწიფო ვეღარ ითვალისწინებს! პატარა ერებმაც საკუთარი ინდივიდუალობა არ უნდა დაკარგოს, რათა თავისი ღვთიური მისია გაიაზროს და აღასრულოს, რომ არ გადაშენდეს. ამაშია ბაბილონის გოდოლის მთავარი სათქმელი. საფრთხე ნამდვილად არსებობს, მით უფრო, ადამიანთა გარკვეულ ნაწილს დიდი მიზიდულობა აქვს საფრთხის მიმართ, რაც კიდევ უფრო ზრდის საშიშროებას!

ამის შესახებ მაიას ტომების წინასწარმეტყველებასაც იშველიებენ.

აბსურდულია მოსაზრება, თითქოს, დასავლური ღირებულებების ერთ-ერთი მთავარი მონამოვარი, ისიც არის, რომ თავისუფალმა ადამიანმა თავად განსაზღვროს საკუთარი ცხოვრების წესი, რადგან ადამიანები, განსაკუთრებით დებალი და საშუალო სოციალური ფენის, თავად ვერ განსაზღვრავენ საკუთარი ცხოვრების წესს. ამას თითქმის მთელ მსოფლიოს კარნახობენ გარკვეული წრის ადამიანები, რომლებიც ფლობენ უზარმაზარ სიმდიდრეს. ისინი ღია საზოგადოების კანონებით ებრძვიან სარწმუნოებას, სოციალიზაციას და ეროვნულ ინდივიდუალობას. არადა, სწორედ იმ ინსტიტუტების საშუალებით ყალიბდებოდა საუკუნეების განმავლობაში ველური ადამიანი მორალურ ადამიანად.

გარდა ამისა, სოციალიზმის პრინცი-

პების გარეშე, ბევრი თანამედროვე პროდუქტი და ტექნოლოგია მიუღწეველია საზოგადოების დიდი ნაწილისთვის. სწორედ ასე ირღვევა ჰარმონიული კავშირი გასაღების ბაზრის, ადამიანის მოთხოვნილების, შესაძლებლობასა და სინდისს შორის, რაც აგრესიულს და დეპრესიულს ხდის სამყაროსაც და ადამიანსაც!

**ამიტომ ჰგავს ქრისტიანობა და სოციალიზმი ერთმანეთს და ამიტომაც აპიდა ჯვარზე იესო, რომ ამ ძველხანად ცხოვრებას საზოგადოების მხოლოდ მცირე ნაწილისთვის არ ყოფილიყო ხელმისაწვდომი!**

კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელ სოციალურ დარვინიზმში ადამიანი ძალიან დაუცველია. კონკურენცია, ანუ სოციალური სელექცია, ევგენიკა, ჩვენი ცხოვრების წესის საფუძველს ნამდვილად არ უნდა წარმოადგენდეს!

**ღარცხანაძე ული ვარ, ბიძგი და-მეთანხმება: არ შეიძლება ადამიანს, მუდამ მგელივით მსხვერპლის დევნაში ძვრავოდეს სული. თან, სამწუხაროდ, იმი თუ მგლობს ინსაველის, ხარ მგელზე უარესი ხედავ. ადამიანთან სხვაგვარად არის სამე და შესაბამისი კანონებით გვჭირდება დაცვა!**

არ შიძი, რამდენად დამეთანხმებით, მაგრამ ყველა დროში ყოველთვის არსებობს აზრი, იდეა, რომელსაც არა ერთხელ, არა ერთგვარად და არა ერთხელ ხელახლა სჭირდება „აღმოჩენა“. ეს იდეა დღეს სოციალიზმი. სწორედ მამარცხანე პლატონის იმეორირების გამოქაჩილი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიც და გამოსავალიც სწორედ მასშია!

**ცხადია, თანამედროვე ევროსოციალიზმი ვლადიმერ ლენინის დამაბით მახასიათებლად მიიღება.**

შეიძლება, ამიტომ წერდა ბოსიუეტი (გამოჩენილი ფრანგი ორატორ-განმანათლებელი, მე-18 საუკუნე) – „ქეშმარიტი თვისუფლება ის არის, როცა კერძო სარგებლობა საზოგადო სარგებლობას ექვემდებარება!“ აუცილებელი შესაძლებლობების გარეშე თავისუფლება ვერ იარსებებს.

ამავე დროს, ყველა ადამიანი გმირი ვერ იქნება, თავისი ღირსებების დასაცავად სიკვდილამდე რომ იბრძოლოს. ამიტომ, მხოლოდ ის საზოგადოება თავისუფალი, სადაც ადამიანის თავისუფალი ნება აქვს, დაიცვას საკუთარი ღირსება და კეთილშობილება, შეუძლია, იცხოვროს უფლის კანონებით, აკეთოს სიკეთე და არსებობის გასაგრძელებლად უფლის კანონების დარღვევა, ძმართა ღალატი, ბოროტების ჩადენა არ უნდა სჭირდებოდეს. თავად შეეძლოს, ჰქონდეს საკუთარი აზრი და არ უნდა უხდებოდეს სხვისი აზრის განმეორება და დამორჩილება, მაშინ, როდესაც ეს ნათქვამი არ ესმის, ან არ ეთანხმება!

ყოველივე ეს კი მხოლოდ სამართლიანი, სოციალიზაციის პირობებში და ცივილიზებულ სახელმწიფოშია შესაძლებელი.

ხოლო ცივილიზებული სახელმწიფო ეს არის ხალხთა შორის შეთანხმება, ანუ შეთანხმება იმის თაობაზე, რამდენი შეიძლება იქნეს ქვეყნად რეალური საარსებო მიწები და ამის შესაბამისად უმცირესა და უდიდეს ხელფასებს შორის ფარდობითი კოეფიციენტი. ასევე, ისიც უნდა იქნეს დადგენილი, რამდენი შეიძლება იყოს ქვეყნის ეკონომიკურ საკუთრებასა და კერძო ეკონომიკურ საკუთრებას შორის ფარდობითი კოეფიციენტი, რომელიც სახელმწიფოს მდგრად, პროგრესულ ეკონომიკურ განვითარებას უზრუნველყოფს და განაპირობებს.

სხვაგვარად, ძალიან შეუსაბამოდ განსხვავებული სოციალური ფენების ეკონომიკური მდგომარეობა ყოველთვის ქვეყნად არსებულ კანონთა შეუსაბამობასა და არასამართლებრივ გარემოს შექმნის, სადაც დემოკრატიაზე და თავისუფლებაზე ლაპარაკი უნადაგოდ და არარეალურია.

**იხ საკანდელიძე**



## „ჩემი პრ დაღის რატომ უნდათ სიკვდილის დაკანონება“

### „არასამთავრობოება საკუთარი ოჯახის წევრებს გააკეთებინონ ნარკოტიკი“

საქართველოში ნარკოლიბერალიზაცია რომ ნარკომანიას გაუხსნის გზას, ამის ნათელი მაგალითია შემთხვევა, რომელიც გუშინ რუსთავეში მოხდა. „ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, ნარკოტიკები დედამ, მისმა 18 წლის ვაჟმა და 22 წლის რძალმა ერთად მიიღეს, რის შემდეგაც ისინი ცუდად გახდნენ. სააგენტოს ქალბატონმა დაუდასტურა, რომ შეიძლება და რძალთან ერთად ნარკოტიკი მიიღო.

არსებული ინფორმაციით, აღნიშნულმა პირებმა მარიხუანასთან ერთად სხვა ნარკოტიკული საშუალებაც გასინჯეს, რის გამოც გონება დაკარგეს და ცუდად გახდნენ. ახალგაზრდა კაცმა მოასწრო და 112-ში დარეკა, სადაც განაცხადა, რომ CO-თი მოინამლნენ. შემთხვევის დროს ბინაში 2 წლის ბავშვიც იმყოფებოდა.

პოლიციის პოლკოვნიკი ომარ იმერლიშვილი ერთ-ერთია, ვინც ნარკოლიბერალიზაციის წინააღმდეგია და საკითხის რეფერენდუმის გზით გადაჭრას ითხოვს. for.ge-სთან საუბრისას იმერლიშვილი აცხადებს, რომ, თუკი სახელმწიფო დაუშვებს ნარკოლიბერალიზაციას, ამას მოჰყვება ნარკომომხარებელთა რაოდენობის კატასტროფული ზრდა, რაც მძიმე შედეგით დასრულდება.

ნარკოლიბერალიზაცია – ეს არის თემა, რასთან დაკავშირებითაც ამ დრომდე არ არსებობს ერთიანი ხედვა. მაგალითად, არასამთავრობო სექტორი მკაცრი ნარკოპოლიტიკის წინააღმდეგია, რასაც ბოლომდე არ იზიარებს ხელისუფლება და სპეციალისტები. რამდენად პრობლემურია ეს საკითხი ქართულ სინამდვილეში?

**ომარ იმერლიშვილი:** იცით, რა მაინტერესებს, ამ არასამთავრობოებს ვინმე შესთავაზოს, რომ საკუთარი ოჯახის წევრებს – მამას, ძმას, მეუღლეს გავკეთებინონ ნარკოტიკი, ან მოაწვდინონ. ჩემამდე არ დადის, რატომ და რა მიზეზით უნდათ სიკვდილის დაკანონება. არის ოჯახები და ასეთი ძალიან ბევრია, რომელიც ნარკოტიკების მიზეზით არის დანგრეული, რადგან ოჯახის ერთი წევრი რომ გახდა მომხმარებელი, მთლიანად მთელი ოჯახი დაანგრია.

არ არსებობს მსუბუქი ნარკოტიკი და მძიმე ნარკოტიკი. ნარკოტიკი ნარკოტიკია. როცა ნარკოტიკი არის მსუბუქი, მომხმარებელს ალარ ყოფნის და უკვე უჩნდება მოთხოვნილება, გადავიდეს მძიმე ნარკოტიკზე. მარიხუანას ეძახიან „სასაცილო“ ნარკოტიკს, მონევენ და იცინიან, მაგრამ მერე უკვე ტირიან, რადგან ალარ ყოფნით „სასაცილო“ მარიხუანა და უნდათ ნარკოტიკი, რომელიც უფრო ღრმა დეპრესიაში ჩააგდებთ.

– ანუ მარიხუანის მომხმარებელი ადვილად ხდება ნარკოდამოკიდებული?

– ერთი ნაბიჯია და ეს არის უბედურება. მარიხუანა არ აკმაყოფილებთ და გადადიან ნარკოტიკებზე, ახლა უმრავლესობა „ბიოს“ მოხმარებაზე გადავიდა.

– დღეს საოცრაც მომრავლებულია საქართველოში მარიხუანის მოყვანის ფაქტი, თითქმის ყოველ მეორე ოჯახში აქვთ მარიხუანა და ამ დროს პოლიცია უძლური ახდება ამ პრობლემის წინაშე, რაც იწვევს ახალგაზრდა თაობაში მარიხუანის მოხმარების დამკვიდრებას. ვხედავთ, რომ მკაცრი ნარკოპოლიტიკა არ არის გამოსავალი, რა ნაბიჯი უნდა „გადადგას“ ხელისუფლებამ ამ შემთხვევაში?

– გაცვეთილ ფრაზას ვიტყვი – „შიში შეიქმნა სიყვარულის“. როცა არსებობს შიში, 100%-დან შეიძლება 5%-მა მოიხმაროს, მაგრამ, როცა ალარ არსებობს შიში, შეიძლება 100%-დან 80%-მა მოიხმაროს და გაიზრდება ნარკოდამოკიდებულთა რაოდენობა. ერთი შეიხედონ იმ ოჯახებში, ვისაც ოჯახში ნარკომანი ჰყავს, ერთი შეიხედნენ, დაელაპა-



რაკონ დედას, მამას, ძმას, დას, მეუღლეს ან შვილს, რა დღეში ჰყავს ამ ერთ ადამიანს მთელი ოჯახი. ეს არის უდიდესი პრობლემა. მე მარიხუანის ლიბერალიზაციის წინააღმდეგ ვარ, მაგრამ ერთი „სიგარეტის“ მოწევაზე ადამიანის ციხეზე გაშვება, ნამდვილად დაუშვავა.

– ნარკომანიც, რომელიც წამალდამოკიდებულია, არის ავადმყოფი და მისი ციხეში გაშვება არ არის პრობლემიდან გამოსავალი...

– კი ბატონო, გეთანხმებით, მაგრამ მას უნდა მკურნალობა.

– სწორედ ამიტომ ითხოვს სამოქალაქო სექტორი, უარი თქვას სახელმწიფო მკაცრ ნარკოპოლიტიკაზე...

– სამოქალაქო სამტორმა შეიძლება, ბევრი მოითხოვოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო ყველაფერზე დატყაობს. სახელმწიფო უნდა შეუწყოს ხელი ამ ადამიანების გამოჯანმრთელებას, პირველ რიგში – ოჯახსა და ასევე სკოლებს, იმით, რომ ნარკოტიკი შესულია სკოლებში. მე ვთვლი, რომ უნდა გაამკაცრდეს ნარკოპოლიტიკა, წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი საქართველო გაუგებრდება.

ეს ისეთი საკითხია, რომ მხოლოდ სამოქალაქო სექტორის გადასაწყვეტი არ არის. 300-400-მა კაცმა უნდა გადაწყვიტოს ჩვენი ბედი? ჩაატარონ რეფერენდუმი, ხალხმა გადაწყვიტოს და ნახავენ, რა შედეგს მიიღებენ. ხალხს უნდა შეეკითხოთ და არა არასამთავრობოებს. სწორედ ამ არასამთავრობოების ოჯახის წევრები იქნებიან პირველ რიგში ნარკოლიბერალიზაციის წინააღმდეგი.

**თამთა ძარჩავა**

## ბათუმი-ჩაქვის ცენტრალურ საავტომობილო გზაზე სამი ადამიანი დაშავდა

ბათუმი-ჩაქვის ცენტრალურ საავტომობილო გზაზე ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად სამი ადამიანი დაშავდა. ისინი ბათუმის სხვადასხვა კლინიკებში არიან გადაყვანილი, სამივე მათგანს გულმკერდისა და კიდურების დაზიანებები აღენიშნებათ. შს-ს ცნობით, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსი“ 276-ე მუხლით დაიწყო, რაც სატრანსპორტი მოძრაობისას წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვია.





# „ბაგრატიონთა სახლის“ ოფიციალური პასუხი ქ-ნ მანანა ხომერიკს

„ბაგრატიონთა სახლის“ წევრები გულდასმით გაეცანით ქ-ნი მანანა ხომერიკის წერილს, რომელიც გამოქვეყნდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მაცნეში“ (2017 წ. №2), სადაც ქ-ნი მანანა ჩვენი საზოგადოების ისტორიკოს იოსებ ბიჭიკაშვილს ბრალს სდებს იმერეთის ბაგრატიონთა შტოსთან მიმართებაში დაშვებული უზუსტობების გამო. ქ-ნი ხომერიკი წერს: „ისტორიული ფაქტები სადღი ასეთმა, რბილად რომ ვთქვათ, თავისუფალმა მიდ-



ქ-ნი მანანა ხომერიკი საზოგადოების პრაქტიკულად წარადგინა თავადი პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონის პორტრეტის ასლს, რომორც სიმონ ბაგრატიონის ძე ბაგრატიონის პორტრეტს.

გომამ, ბაგრატიონთა სხვადასხვა შტოების აღრევა და ისტორიის დამახინჯება გამოიწვია“. აღნიშნულ ბრალდებებზე ბ-ნი იოსები აპირებს პასუხის გაცემას, ჩვენ კი გვსურს, დავეფიქსიროთ და გამოვხატოთ ჩვენი შემოქმედება ქ-ნი მანანას აღნიშნული წერილის წაკითხვის შემდეგ. ნამდვილად სამწუხაროა, რომ, თურმე, კერძო ინტერესების გამო, პიროვნებამ შესაძლებელია, საკუთარი ქვეყნის ინტერესები დაივიწყოს. როგორ ვერ უნდა მისვდეს ადამიანი, რომ ამგვარი ქმედებით იგი საკუთარი ქვეყნის ერთიანობის იდეას ეწევა? არ გვინდა დაიჯეროთ, მაგრამ, სამწუხაროდ, საზოგადოების გარკვეულ ნაწილს დღემდე აქვს სურვილი საქართველოს დაქუცმაცებისა.

2016 წელს ქ-მა მანანა ხომერიკმა დააარსა „იმერეთის მეფეთა შთამომავალთა საზოგადოება“, რომლის თავმჯდომარედ და იმერეთის ტახტის მემკვიდრედ ირაკლი ბაგრატიონი (ლვანკიელი) დასახელდა. ამას აღტაცებით შეხვდნენ „სამეფო კლუბის“ და „საქართველოს თავადაზნაურთა საკრებულოს“ ხელმძღვანელები. საზოგადოების პრეზენტაციაზე ქ-მა მანანა ხომერიკმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ბოროდინის გმირის პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონის ასალ-გაზრდობის პორტრეტი, რომელიც ღვანკიელი ირაკლი ბაგრატიონის წინაპრად, კერძოდ უკანონოდ შობილ სიმონ ბაგრატიონის ძის პორტრეტად გაასალა. შემდგომ, ქ-მა ხომერიკმა ეს პორტრეტი ლიტერატურის მუზეუმს ჩააბარა, რომელსაც დაურთო საკუთარი ხელით დანერგილი განმარტებითი ტექსტი. გვსურს, განვაცხადოთ, რომ ეს ტექსტი საესეა ყალბი ინფორმაციით, როგორც თავად პორტრეტის ვინაობასთან, ისე სიმონ ბაგრატიონის ბიოგრაფიული ცნობებთან დაკავშირებით.

ფსევდომონარქისტულმა ძალებმა, რომლებმაც ვერ მოახერხეს მეცნიერულ დონეზე ერთიანი საქართველოს სამეფოს ტახტის მემკვიდრის, ბაგრატიონი-გრუ-

ზინსკების სამეფო ოჯახის უგულვებელყოფა, ახლა უკვე მიაღწენ ჩვენი დინასტიის მიერ 2006 წელს ხელმოწერილ მემორანდუმს და ითხოვენ მის გაუქმებას. ამ მოწოდების ინიციატორობა, როგორც ჩანს, ითავა ქ-მა მანანა ხომერიკმა.

ქ-ნი მანანა ხომერიკი თავად ისტორიკოსი ბრძანდება და, წესით, კარგად უნდა იცოდეს საქართველოს ისტორიის ის მტკიცებულებები, რომლებიც ქვეყანა პოლიტიკურ ერთეულებად დაიშალა, რაშიც დიდი წვლილი სწორედ შიდა სეპარატიზმს მიუძღვის. დანაწყისშივე გვსურს დავსვათ ასეთი შეკითხვა: ქ-ნო მანანა, თქვენთვის ფასეულია საქართველოს ერთიანობა? ვიმედოვნებთ, რომ თქვენი პასუხი იქნება დადებითი, რადგან, როგორც ისტორიკოსს, კარგად გეცოდინებათ, თუ რა ჯავა და ძალისხმევა მოაწოდეს ჩვენმა დიდმა წინაპრებმა ერთიანობის იდეის განხორციელებას, რომლის ერთ-ერთი სამაგალითო ნიმუში (თუმცა, უშედეგოდ დასრულებულს) წარმოადგენს იმერეთის მეფის ალექსანდრე III-ის ეროვნული გეგმა, რომელიც, შესაძლოა, ერთ რანგში დავაყენოთ დიდი ქუჯი ერისთვის მაგალითთან. მოგესხენებათ, რომ მეფე ალექსანდრე III-მ პიროვნული ამბიციები დათმო, მიუხედავად იმისა, რომ მას ჰყავდა საკუთარი მემკვიდრე ბაგრატ ბატონიშვილის სახით, მან ერთიანი საქართველოს სამეფო ტახტზე აყვანის მიზნით იშვილა მეფე თეიმურაზ I-ის შვილიშვილი ლუარსაბ ბატონიშვილი. ლუარსაბის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ, ალექსანდრე III თხოვნით მიმართავს რუსეთის მეფეს, რათა მან საქართველოში გამოგზავნოს თეიმურაზ I-ის მეორე, უმცროსი შვილიშვილი, ერეკლე ბატონიშვილი, რათა უკვე ის გახდეს მისი შვილობილი და დაიკავოს ერთიანი საქართველოს ტახტი. აქვე აღსანიშნავია, რომ ამას აკეთებს ის მეფე, რომელიც თავისი სიძლიერით გამოირჩევა სხვა იმერეთის მეფეთაგან, კერძოდ, ალექსანდრეს დროს იმერეთის სამეფო იბრუნებს თავისი სიძლიერის და ხდება მთელი დასავლეთი საქართველოს ჯეგმონი. ეს ისტორიული მაგალითი მიგვითითებს არა მხოლოდ ალექსანდრე III-ის დიდშულოვნებაზე, არამედ, ასევე ხაზს უსვამს ლეგიტიმიზმის საკითხსაც, კერძოდ, თუ რომელი სამეფო შტოდან უნდა ყოფილიყო ერთიანი საქართველოს მეფე.

საქართველოს ერთიანობაზე ზრუნავდა იმერეთის სასულიერო თუ საერო ელიტაც, როცა 1790 წელს მეფე ერეკლე I-თან ჩავიდა და სთხოვა როგორც იმერეთის სამეფოს, ასევე სამთავროების მიერთება, თანაც, ეს მოხდა მაშინ, როცა იმ პერიოდისათვის იმერეთში ცხოვრობდა როგორც სოლომონ I-ის შთამომავლობა, ასევე იმერეთის ბატონიშვილთა სხვა შტოების წარმომადგენლებიც. მიუხედავად იმისა, რომ ერეკლე II-მ, მიდროინდელი საგარეო პოლიტიკიდან გამომდინარე, თავი შეიკავა ამ ნაბიჯისგან, ეს ფაქტი მაინც მიანიშნებს იმაზე, რომ ქართველთათვის მნიშვნელოვანი იყო ქვეყნის ერთიანება, თანაც გიორგი VIII-ის შთამომავალთა გვირგვინის ქვეშ. ასევე, არ შეიძლება, აქვე არ ვახსენოთ 1790 წლის „ივერიელთა ტრაქტატი“, რომლის მთავარი შედეგიც იყო ქართულ სამეფო-სამთავროთა „საუკუნოდ ერთგვამად შეერთებასა ამას ზემოისა და ქვემოისა ივერიისათანა“, რაც ნომინალურად მომდევნო 11 წლის მანძილზე განხორციელდა კიდევ: ხაზგასასმელია, რომ ივერიელთა ხელშეკრულების შესახებ ეცნობა რუსეთის საიმპერატორო კარს, რომელიც ამ ამბავს დუმილით შეხვდა, რადგან მის ინტერესებში არ შედიოდა ერთიან, ძლიერ საქართველოსთან ურთიერთობა. როგორც ჩანს, მას დაგეგმილი ჰქონდა დაქუცმაცებული საქართველოს ცალ-ცალკე ანექსია, რაც განახორციელა „ჩინ-მედლებსა“ და გამორჩენას დახარბებული მოლაღატე ადამიანების ხელშეწყობით.

უფლის წყალობით, მიუხედავად მრავალი ისტორიული ქარტესილისა, საქართველომ ჩვენ დრომდე მოაღწია როგორც ერთიანმა სახელმწიფომ. როგორც ჩანს, ქვეყნის ერთიანობაზე ასევე ზრუნავდა ბატონიშვილი ნინო დავითის ასული ბაგრატიონი-იმერეთინსკი, რომელმაც 2006 წელს, „მემორანდუმზე“ ხელ-

მოწერით დაადასტურა ერთიანი საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრის ვინაობა და ამ ქმედებით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბატონიშვილი ნინო შეუერთდა იმ დიდ წინაპრებს, რომელთა მიზანს საქართველოს ერთიანობა წარმოადგენდა.

სამწუხაროდ, რამდენად საოცარი არ უნდა იყოს, ზოგიერთ თანამედროვე ქართველს ქვეყნის ერთიანობის მნიშვნელობა ბოლომდე გააზრებული არა აქვს, რადგან დაპირისპირებისა და ქაოსის ხელოვნურად შექმნის მიზნით, ლეგიტიმურ ტახტის მემკვიდრეს ხან ერთ არალეგიტიმურ „მემკვიდრეს“ უპირისპირებენ, ხან მეორეს. ასეთი ხერხი, სწორედ რომ დამპყრობელი იმპერიებისათვის იყო დამახასიათებელი, რისი მაგალითებიცაა სხვადასხვა ჩვენი ისტორია.

2006 წელს ჩვენ მიერ ხელმოწერილი მემორანდუმით დავანახვეთ მტერსაც და მოყვარესაც, რომ ჩვენ, ბაგრატიონები, ერთმანეთს კი არ ვეკინცლავებით, ვებრძვიტ პირველობისათვის, არამედ პირიქით, გვაქვს მკაცრად ჩამოყალიბებული სტრუქტურა, რომელიც ძირითადად ისტორიულ-გენეალოგიურ სიმაღლეს ზედა დაფუძნებული და გამყარებული ლეგიტიმიზმის პრინციპით, ამიტომ კვლავ განვაცხადებთ და მოვუწოდებთ იმ პიროვნებებს, რომელნიც მთელი თავისი მოღვაწეობის განმავლობაში ჩვენს საგვარეულოში დაპირისპირებას (სასელექციო პროექტით) ხელოვნურად ქმნიან, ნუ ეცდებიან ჩვენი საგვარეულოს ერთობის მოშლას! ასეთი ქმედება არ უპასუხებს ქართველი ერის ერთობის ამოცანებს!


უფალი გვფარავდეს!

„ბაგრატიონთა სახლის“ სახელით:

წინამძღოლი, ბატონიშვილი ნუშზარ ბაგრატიონი-ბრუზინსკი, წინამძღოლის მოადგილე ბიორგი ბაგრატიონი-ჟაფარიძე, წინამძღოლის მოადგილე ჯანსუღ (ჯანო) ბაგრატიონი-დავითიშვილი, წინამძღოლის მოადგილე ნოდარ ბაგრატიონი-დავითიშვილი, მისივე ბაგრატიონი-ბაგაღიში, ბიორგი ბაგრატიონი-ბაგაღიში, მარიამ ბაგრატიონი-მუსრანელი, ნინო ბაგრატიონი-დავითიშვილი, ნათია ბაგრატიონი-დავითიშვილი, ბიორგი ბაგრატიონი-რა-მაზიშვილი, მამუკა ბაგრატიონი-დავითიშვილი, ბიორგი ბაგრატიონი-დავითიშვილი, ნოდარ ბაგრატიონი-დავითიშვილი.



თავადი პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონი (1765-1812), რუსეთის არმიის პოლკოვნიკის ფორმაში (ასლი; ორიგინალი დაცულია რუსეთის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში).



ქ-ნი მანანა ხომერიკის ხელით დანერგილი ბაგრატიონთა ტახტი თავადი პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონის პორტრეტის ასლის უკანა მხარეზე (დაცულია ქართული ლიტერატურის მუზეუმის იკონოგრაფიის განყოფილებაში, №6804-დ).

**გატონიშვილი ნინო ღავითის ასული  
გაბრატიონი-იშერატიონისკის ოჯახის  
წევრთა პასუხი ქ-ნ მანანა სომეხიკს**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მაცნეში“ (2017 წ. №2) მანანა ხომერიკის მიერ გამოქვეყნებულმა სტატიამ ჩვენი გაცემა და იმავდროულად აღშფოთლება გამოიწვია, ჯერ იმ ბრალდებით, რომელმაც და სტილით, რომელიც უფრო პულვარული გამოცემის მკითხველებისათვის იქნებოდა შესაფერისი, მერე კი ნინო დავითის ასული ბაგრატიონი-იმერეტინსკისა და მისი ნინიარებისადმი ყოვლად გაუგებარად და უსაფუძვლო თავდასხმებმა, რომელთაც კავშირითარ საერთო არა აქვს საისტორიო მეცნიერების კვლევებთან.

შესაძლოა, დიდი ხანი დასჭირდეს ყველა იმ შეცდომისა და არასწორად გამოტანილი დაკვვნების ჩამოთვლას, რომელითაც უხვად არის გაჯერებული ბ. ხომეირკის აღნიშნული სტატია. უპრაიონი, ეს საქმე მიგნდოს პროფესიონალ ისტორიკოსებს, რომელთა სამეცნიერო მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებაა ბაგრატიონთა ისტორიისა და გენეალოგიის კვლევა. ამასთან დაკავშირებით სრულყოფილ დამაჯერებლად მიგვაჩინა ბ-ნი იოსებ ბიჭიკაშვილის საპასუხო სტატია, რომელიც დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მაცნეში“ (2018 წ. №1), სადაც პუნქტუორივად არის განათილებული ყველა ის ცრუ პოსტულატი, რომელიც მანანა ხომეირკის სტატიაშია მოყვანილი.

მანანა ხომერიკის ლოგიკას თუ გავყევით „სამართლიანობის აღდგენისათვის“ საქმეო 7 თაობით უკა, ანუ XVIII ს-ის მეორე ნახევარში დაბრუნება, ბატონიშვილ ბაგრატი დაქორწინება ქალზე, რომლის გვარიც კი არ ვიცნობ. ეს ინსინუაციები აშკარად აბსურდულია, მიუხედავად ჩვენი პატივისცემისა ბატონიშვილი ბაგრატიშვილის მრავალრიცხოვანი შთამომავლობის მიმართ.

იმ მიზნით, რომ რამდენადმე საფუძვლიანი გახადოს სხვათა გავლენის ქვეშ მყოფი ახალგაზრდა კაცის ბუნდოვანი მისწრაფებები, ქალბატონი მანანა სომერიცი „სამართლიანობის აღდგენის“ მიზნით ისტორიულ აღმასვლას იწყებს XVIII-სი სეოფრ ნახევარმდე, იმ ეპოქამდე, როცა იმერეთის მეფე სოლომონ I-ის ძამა, ბატონიშვილმა ბაგრატმა აღიარა უკანონოდ შობილი ვაჟი და მისცა თავისი გვარი და სააზნაურო მამული სოფელ ღვანკითში. შემდგომ, ბატონიშვილ ბაგრატს კანონიერი ქორწინებადონ შეეძინა ვაჟი დავითი, რომელმაც იმდროინდელი კანონმდებლობით მეფეიდრეობით მიიღო მამის ტიტულიც და სათავადო მამულიც.

აქედან იწყება ცინიზმითა და შეურაცხყოფებით სავსე ინსინუაციები ბატონიშვილი ბაგრატის ყველა კანონიერ შიამომაკვლის მისამართით, მათ შორის „ბაგრატიონთა სახლის“ პირველი წინამძღოლის ბატონიშვილი ნინო დავითის ასული ბაგრატიონისა (გარდაიცვალა 2009 წელს). შეურაცხმყოფელი განცხადებები იმ ადამიანის მისამართით, რომელმაც უზარმაზარი ძალა და ენერგია შეაღწია „ბაგრატიონანთა სახლის“ დაარსებას და მისი პრესტიჟის გაზრდას საზოგადოებაში, ასევე ბაგრატიონთა ყველა შტოს გენეალოგიისა და ისტორიის მრავალმხრივ შესწავლის ორგანიზებას. რაც მთავარია, ის იყო ადამიანი, რომელმაც ყველაზე ქმედითი მონაწილეობა მიიღო „ბაგრატიონთა სახლის“ ისტორიული მემორანდუმის შექმნაში. სწორედ ამ ისტორიული დოკუმენტის გაბნეობილება მანანა ხომერგიანისა და მის უკან მდგომი ძალების ბრძოლის მთავარი მიზანი, რადგან მათთვის მიუღწეველია ბაგრატიონთა საგვარეულოს ერთობა და დინასტიური სამართალი, რომლის თანახმადაც ბატონიშვილი ნუგზარ ბაგრატიონი-გრუშინსკი ერთსულოვნად აღიარებულ იქნა როგორც ერთიანი საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრე. თავისი ხელმოწერით ბატონიშვილმა ნინომ გაამეორა ჩვენი დიდი წინაპრის იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ის მიერ წარსულში გადადგმული მამულშეიღვრე ნაბიჯი, რომელიც საქართველოს გაერთიანებას ისახავდა მიზნად.

იმ წლებში, როდესაც ბატონიშვილი ნინო წინამძღოლობდა, პატარაზოგანდა სახლი "ჩართული იყო საზოგადოებრივ პროცესებში, აქტიურად მონაწილეობდა ახალი სახელმწიფოს სიმბოლიკის შექმნაში და, რაც მთავარია, შეძლო გაეერთიანებინა პრაქტიკულად ყველა შიშის ბატარალები როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნი.

ამ პროცესების სათავეში მყოფ ადამიანებს უჭყვე-  
ლად ემოსხვრებად ყველა ჩვენგანისათვის ბედნიერი  
დღე, როდესაც მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თე-  
ატრში ორგანიზებული საერთო კრებაზე პირველად დაგ-  
ვირდიდა „ბაგრატიონთა სახლის“ წევრთა დამადასტუ-

რეგული მონუმენტები, რასაც ყველანი დიდი სიამა-  
ყითა და პატივით ვატარებდით და დღესაც ვატა-  
რებთ.

გვესურს საზიო გავესუვათ, რომ აღნიშნული პროცესების აქტიური მონაწილეები ასევე იყვნენ ზემოთ მოხსენიებული ოჯახები („ღვანდათიანების“ წარმომადგენლები, კერძოდ მართი და ცილა ბაგრატიონების ოჯახები, მათი შვილები და შვილიშვილები, ამიტომ გაუგებარია ქ-ნი მერისა და ქ-ნი ცილას ძმის შთამომავლები დღევანდელი ბრალდებები იმის თაობაზე, თითქოს იმერეთის ეს შტო როდისმე იგნორირებული იყო „ბაგრატიონანთა სახლის“ მხრიდან. ამის მტკიცებულებას კი წარმოადგენს 1995 წლის „ბაგრატიონანთა სახლის“ დამფუძნებელი კრების ოქმი, სადაც მათი ხელმოწერებია დაფიქსირებული.

იმ წლებში „ბაგრატიონანთა სახლი“ აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს საპატრიარქოსთან და სარგებლობდა კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის მფარველობითა და მხარდაჭერით, სწორედ მისი მოცუვა „კურთხეითი დაარსდა“, „ბაგრატიონანთა სახლი“, რომელიც საკონსტიტუციო მონარქიულ წყობას, რომელიც მრავალი წარმატებული ევროპული ქვეყნის მოდელს წარმოადგენს, თვლის ყველაზე მისაღებ ფორმად საქართველოსათვის. ამ ფორზე მანანა ზომერკის ფსევდომცენიერული მოღვაწეობა სრულიად დისკრედიტირებს ამ იდეას, რის ნათელ მაგალითსაც წარმოადგენს მის მიერ თვითნებურად მოგონილი „იმერეთის სამეფო სახლი“. როგორც ჩანს, მანანა ზომერკი და მის უკან მდგომი ადამიანები ილუზიებს უქმნიან ამპიტიურ ახალგაზრდას, რომელსაც რატომღაც იმის იმედი აქვს, რომ ისტორიული ფაქტების გადაკეთებითა და დამახინჯებით მას რაიმე მნიშვნელობას მიანიჭებენ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საბოლოოდ მას შერცხვება თავისი საქმიანობის გამო, რომ ის გახდა ბრმა იარაღი იმ ძალების ხელში, რომლებიც უკანასკნელ 28 წლის მანძილზე ცდილობენ, ბაგრატიონთა დინასტია წარმოაჩინონ ქაოსურ ორგანიზაციად, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. სწორედ ჩვენი დინასტიის ყველა შტოს მიერ „ბაგრატიონთა სახლის“ მემორანდუმზე ხელმოწერა ადასტურებს ჩვენს ერთიანობას, რომლის წინააღმდეგაც აქ აქტიურად ილაშქრებს ფსევდოგიგნირი მანანა ხომორაძე.

ჩვენ ასევე გვოცნებებს საქართველოს თავად-ზანაურთა საკრებულოს ხელმძღვანელთა პოზიცია. რომლებიც ბრმად იზიარებენ ასეთ ფალსიფიკაციას. იმ მიზნით, რომ რამენაირად მაინც შეურაცხყოს ჩვენი ოჯახი, მანანა ხომერიკი ჭორების შეგროვებასაც არ თაკილობს და ჩვენი ყოფილი ისტორიული მოურავების, თავადი ხიდირბეგიშვილების მისამართითაც არ აშურებს შეურაცხმყოფელ სიტყვებს, ეძახის მათ მკვლელებსა და ბანდიტებს, რამაც, ბუნებრივად, აღშფოთება გამოიწვია მათ შთამომავლებში.

ჩვენ ვვლით, რომ ისტორია მოეწყო ისე, როგორც მოეწყო და ჩვენმა საერთო წინაპრებმა და ჩვენმა უშუალო წინაპრებმაც ღირსეულად გაატარეს თავისი წუთისოფელი. ამის ნათელ მაგალიტს წარმოადგენს ბატონიშვილი ნინო დავითის ასული პაგრატიონი, რომელმაც ხანგრძლივი და ამავე დროს რთული ცხოვრება ღირსეულად განვლო და სიამაყით ატარებდა თავის დიდებულ გვარს.

ფსევდოპეტინიერი მანანა ხომერიკი მოქმედებს ცნობილი სქემით: რაც შეიძლება მეტი შეურაცხყოფა და ცილისწამება, ხოლო თქვენ მიდით და თავი იმართლოთ. რაც შეეხება თავის მართლებას, ჩვენ ეს ნამდვილად არ გვებსაჭიროება.

კატეგორიულად მოკუწოდებთ მანანა ხომერის, დაიცავს ღამიანური ეთიკის ნორმები, რადგან ჩვენ არ მოვითქმენთ მეტ შეურაცხყოფას და ცილისწამებას ჩვენი თუშაოლ წინაპრების მიმართ. მისი უნდა აღიაროს თავისი შეცდომები და ბოდიში მოიხადოს საზოგადოების წინაშე მათი მიზანმიმართულად შეცდომაში შეყავანის გამო.

**ბიორგი ბაგრატიონი-ჯაფარიძე,  
დალი ბაგრატიონი-ჯაფარიძე**

**თბილისის მერიას  
შანტაჟის გზით  
ნუ ელახარაკებით!**

**ცხოველთა**

მონიტორინგის  
სააგენტოს დი-  
რექტორმა ვახ-  
ტანგ ლომჯარიამ  
მედიის წარმო-  
მადგენლებს ცხო-  
ველთა მუნიციპა-  
ლური თავშესა-  
ფარი დაათვალი-  
ერყინა და მისი  
მუშაობის სპეცი-  
ფიკა აღაპწნო. ვახ-



ტანგე ლომჯვარიასთან ერთად, ადგილზე თბილისის მერის მოადგილე მაია ბითაძე იმყოფებოდა, რომელმაც ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს ფუნქციონირების მნიშვნელობას გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ სააგენტოს თითოეული თანამშრომლის შრომა განსაკუთრებით დასაფასებელია. მაია ბითაძე რამდენიმე დღის წინათ, სოციალურ ქსელებში გავრცელებულ ვიდეოსახალს გამოეხმაურა და განაცხად, რომ კადრები ადამგულია და მოსმდართან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს.

„ყველა ადამიანის გასაგონად, რომელიც მანიპულირებს და შანტაჟის გზით ელაპარაკება თბილისის მერიას, მათ შორის, ცხოველთა მონიტორინგის სამსახურს, საზგასმით მინდა ვთქვა – ძალიან ვთხოვ, დააფასოს თითოეული ადამიანის შრომა, რომელიც ცხოველთა მონიტორინგის სამსახურში მუშაობს და კარგად დააკვირდეს იმ ღონისძიებებს, რასაც მუნიციპალიტეტი ახორციელებს იმისთვის, რომ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტომ დაიბრუნოს ის ფუნქცია, რისთვისაც ის შეიქმნა. ასევე, კარგად დააკვირდეს რეორგანიზაციის იმ აქტიურ პროცესს, რომლის მთავარი მიზანი სწორედ ისეთი ფაქტების აღმოფხვრაა, რომელზედაც ამ ადამიანებს, რომლებიც ახლა აქციებს მართავენ, თავის დროზე პრობლემა არ ჰქონიათ“, – განაცხადა მაია ბითაძემ. მერის მოადგილის განმარტებით, არსებობს ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული სცენა დადგმულია.

„ორი კვირის წინათ გარკვეული ურთიერთობები შევწყვიტეთ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციასთან. რეორგანიზაციის პროცესში გათავისუფლებული ადამიანების გაბოროტებული ქმედებების შედეგად კი მივიღეთ ის, რაც მივიღეთ. გამოიძეა ცხოველებისადმი სასტიკი მოპყრობის მუხლით მიმდინარეობს. ასევე, ვფიქრობ, რომ შეუტყობინებლობის მუხლზეც იყოს საუბარი, თუმცა ეს გამოიძიების პრეროგატივაა. მათ გასაგონად კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ სააგენტოს თანამშრომლების კეთილსინდისიერი შრომა დააფასონ და გავავლოთ ზღვარი კეთილსინდისიერებასა და დანაშაულს შორის, რომელსაც ვფიქრობთ, რომ ნამდვილად ჰქონდა ადგილი“, — აღნიშნა დედაქალაქის მერის მოადგილე.

ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორი აღნიშნული ვიდეომასალის მომზადებაში ვეტერინარის მონაწილეობას გამო-  
რიცხავს და აცხადებს, რომ მომზადრთან დაკავშირებით, გამოძიებას  
შინაგან საქმეთა სამინისტრო აწარმოებს.

**სოლიდური სიმსივნეების გენეტიკა - ახალი სერვისი იაშვილის საავადმყოფოში**

გ. იაშვილის სა-

ხელობის ბავშვთა  
ცენტრალური საა-  
ვადმყოფოს ონკოპე-  
მატოლოგიის დე-  
პარტამენტის დამე-  
ტა ახალი სერვისი:  
ყველა ტიპის (თავის,  
ტვინის, ძვლების,  
რბილი ქსოვილების,  
თირკმლის, ღვი-  
ძლის, სასქესო ორ-



განოების) სოლიდური სიმსივნეებით დაავადებულ პაციენტთა დიაგნოსტიკა და მართვა. დეპარტამენტში შესაძლებელია:

ონკოლოგიურ დაავადებათა სრული დიაგნოსტიკა, ბიოფსია და ბიოპსიატის ჰისტოლოგიური შესწავლა. აუცილებლობის შემთხვევაში მასალა იგზავნება გერმანიაში, ქ. კილის რეფერალური პათოლოგიის ინსტიტუტში. ეს უკანასკნელი კვლევა უფასოა, მას აფინანსებს გერმანული მხარე.

დაავადების სტადიურება – მაღალი რეზოლუციის მ.რ.ტ და კომპიუტერული ტომოგრაფია, რომელიც სრულდება მაღალი კვალიფიკაციის რადიოლოგების მიერ.

ქიმოთერაპია – უახლესი გერმანული და ამერიკული პროტოკოლებით, უფასოა პაციენტისთვის, მას ფარავს საყოველთაო ჯანდაცვის და სოლიდარობის ფონდი.

ქიმოთერაპიის გართულებების მართვა – მძიმე შემთხვევების მართვაში მონაწილეობენ გერმანელი კოლეგები ქ. ფრაიბურგის ბავშვთა ონკოლოგიური ცენტრიდან, თავის ტვინის სიმსივნეების მართვისთვის კი შექმნილია ტუმორ-ბორდი გერმანელი ნეიროქირურგის და ქართული რადიოლოგის, სხივური თერაპევტის, ნეუროლოგის და ონკოლოგის მონაწილეობით.

სიმსივნის ქირურგიული მკურნალობა მოიცავს როგორც ქართულ, ისე უცხოურ კლინიკებს, ეს უკანასკნელი ასევე უფასოა პაციენტისთვის და ყველა ხარჯს ფარავს სოლიდარობის ფონდი, დიმიტრი ცინცაძის ფონდი და ჯანდაცვის სამინისტრო.

© „მარსალიოზა“ რუსეთში

# ფრანგებმა მოსკოვი მეორედ აიღეს!..



**დიდი დეშამს კრიტიკოსები არ აკლია, მაგრამ დაასახელებთ მწვრთნელს, ოპონენტები რომ არ ედგნენ კრიჭაში?** გემახსოვრებათ, რომ გულშემატიკვართა არანაკლებ დიდი არმიის იერიშების ობიექტი გახლდათ მისი ღირსეული წინამორბედი ემე ჟაკე, რომელმაც მუნდიალს მიღმა დატოვა კანტონა და ჟინოლა, მაგრამ თანამემამულენი 1998 წელს მაინც აიყვანა საფეხბურთო ოლიმპზე.

და აი, 20 წლის შემდეგ იმ ოქროს თაობის გუნდის კაპიტანმა, ნაპოლეონის მსგავსად, ფრანგებს მეორედ ააღებინა მოსკოვი. სხვათა შორის, დიდი დეშამმა გაიმეორა მარიო ზაგალოსა და ფრანც ბექენბაუერის მიღწევა — მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა როგორც მოთამაშის, ისე მწვრთნელის ამბლუაში.

მთლიანობაში რუსეთის 11 ქალაქის 12 სტადიონზე გამართული ფორუმის 64 შეხვედრას 3 მილიონზე ოდნავ მეტი მაყურებელი დაესწრო. აღსანიშნავია, რომ საერთო ჯამში არცთუ ისე მაღალი დონის ერთთვიანი მართონის მხოლოდ ერთი მატჩი დამთავრდა უგოლოდ: საფრანგეთი — დანია 0:0, თუმცა, სწორედ „სამფეროვნებს“ სვდით პატივი, ერთობ სიმპათიურ ხორვატეთის ნაკრებთან დაუფინყარი ფინალური სპექტაკლი დაედგათ.



**საფრანგეთი — ხორვატეთი 4:2**

**გოლები:** მანჯუკიჩი (საკუთარ კარში), გრიზმანი (პენალტით), პოგბა, მბაპე; პერიშიჩი, მანჯუკიჩი.

უკანასკნელად ასეთი უხვგოლიანი სატიტულო ბრძოლა უკვე შორეულ 1966 წელს ლონდონის „უემბლიზე“ გაიმართა, სადაც მასპინძლებმა ტოფიკ ბახრამოვის ისტორიული ვერდიქტით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებს სძლიეს, ოლონდ დამატებით დროში, თანაც — ასეთივე ანგარიშით, აბსოლუტური რეკორდი კი 1958 წელს ბრაზილია-შვედეთმა დაამყარეს სტოკჰოლმში — 5:2.

ამჯერად „ლუჟნიკებში“ მოწყობილი სანახაობა იმითაცაა გამორჩეული, რომ ტრიუმფატორზე არანაკლები დიტირამბები დამარცხებულმაც დაიმსახურა, რაც მისი საპლეიოფო თავგადასავლების გათვალისწინებით, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი იყო. დიახ, დაგვეთანხმებით, რომ სამი დამატებითი დროისა და ორი პენალტების სერიის შემდეგ თითქმის წარმოუდგენელია ძალების სრულფასოვნად აღდგენა დროის უმცირეს მონაკვეთში და ამბიციურ ფავორიტთან ასე ტოლ-სწორად შეხმა. ზღატკო დალიჩის გუნდმა ეს მოახერხა და არაა გამორიცხული, ყველაფერი სხვაგვარად დასრულდებოდა, მოვლენები ბალკანელთათვის სასურველი სცენარით რომ განვითარდებოდა, განსაკუთრებით — შესვენებამდე, როცა ჯერ მანჯუკიჩმა დააღალატა პარტნიორები ავტოგოლით, ხოლო მოგვიანებით — არგენტინელმა მსაჯმა ნესტორ პიტანამ, რომელმაც სუბაშიჩის კარში სადავო თერთმეტმეტრიანი დანიშნა. რადგან „იუვენტუსის“ ხორვატი ბომბარდირი ვახსენეთ, დავძენთ, რომ იგი მუნდიალების მატჩიანეში პირველია, რომელმაც ფინალში ბურთი საკუთარ კარშიც გაიტანა და მეტოქისაშიც.

კი, მაგრამ ფრანგები? — იკითხავთ, ალბათ. ეს გუნდი პრაგმატიზმის ერთგულად კიდევ ერთხელ მოგვევლინა და მიზნის მისაღწევად ზუსტად იმდენი ენერგია დახარჯა, რამდენიც ვითარებაში მოითხოვდა. ისე, ნურც გამოფიქრული მეტოქის ფაქტორს დავივიწყებთ და ნურც პოპულარულ ძველ გამონათქვამს — გამარჯვებულს არ ასამართლებენ.

ფიქრობთ, ორიოდ სიტყვა ყბადაღებულ თემასაც უნდა შევანოთ, საფრანგეთს საზანგეთად რომ წარმოგვიდგენს. მის ავტორებს რატომღაც ავიწყდებათ, რომ მთელ რიგ „სამფეროვანთა“ წინაპრები კარგა ხნის წინათ გადმოზარდნენ ევროპაში. ჰოდა, რა პოგბას, უმტიტის, მატუიდის, კანტესა და კამპანის ბრალია, შავკანიანები რომ არიან?

და ბოლოს, მუნდიალი — 2018-ის ლაურეატები გახდნენ: **საუკეთესო მოთამაშე** — ლუკა მოდრიჩი (ხორვატეთი), **ახალგაზრდა ფეხბურთელი** — კილიან მბაპე (საფრანგეთი), **მეკარე** — ტიბო კურტუა (ბელგია). **ბომბარდირი** — ჰარი კეინი (ინგლისი) — 6 გოლი.

2022 წლის ზამთარში 22-ე მსოფლიოს ჩემპიონატს ყატარი უმასპინძლებს. **გიორგი შოთაძე**



© ათი წყალი გადმოგვსხმოდას

# სორვატეთის გმირები

**სორვატეთის ნაკრების 51 წლის მწვრთნელმა ზღატკო დალიჩმა, განაცხადა, რომ მათ ქვეყანაში ერთი ნორმალური სტადიონიც კი არ აქვთ, რომელიც თანამედროვე სტანდარტებს შეესაბამება, თუმცა, ასეთი პრობლემის მიუხედავად, ხორვატეთის ნაკრებმა ყველაზე დიდი საფეხბურთო ტურნირის ფინალში ითანაშა და მეორე ადგილი დაიკავა. ამასთან ერთად, მას თითქმის ერთი თამაშით მეტი გამოდის ჩატარებული, რადგან სამჯერ მოუწია დამატებით დროში თამაში; გუნდმა კი, ფინანსური არამდგრადობის მიუხედავად, მაინც ამხელა წარმატებას მიაღწია.**

რამდენიმე თვეში მას ერთა ლიგაზე ჯერ ინგლისის ნაკრების მიღება მოუწევს საკუთარ ტერიტორიაზე, შემდეგ კი ესპანეთის ნაკრების. თუმცა, სტადიონი, რომელიც 45 000 მაყურებელს უნდა იტევდეს,



მათ არ გააჩნიათ. რიევას სტადიონი 10 000 მაყურებელს იტევს, მთავარი არენა ზაგრების „მაქსიმირია“ — 35 000, რომელიც თანამედროვე სტანდარტებს საერთოდ არ შეესაბამება.

პარალელი რომ გავავლოთ ქართულ ფეხბურთთან, აღმოვაჩენთ, რომ ხორვატეთთან შედარებით საწუნუნო არაფერი გვაქვს, რადგან ჩვენი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ერთ-ერთი საუკეთესო სტადიონი „დინამო არენა“ 54 139 მაყურებელს იტევს, სადაც არაერთი მნიშვნელოვანი თამაში ჩატარებულა. მაგალითად — უეფას სუპერთასი, სადაც „ბარსელონა“ და „სევილია“ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, ასევე საქართველო-ესპანეთი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე, კახი კალაძის გაცილებლა, სადაც „მილანის“ ლეგენდები თამაშობდნენ. თუმცა, ეს არ არის ერთადერთი სარბიელი, მიხეილ მესხის სტადიონი 27 223 გულშემატიკვარზეა გათვლილი და ეს მხოლოდ დედაქალაქში.

მთავარი, რაც ქართველ და ხორვატ ფეხბურთელებს ერთმანეთისგან განასხვავებს, მონდომება და საკუთარი საქმის მიმართ პატივისცემაა, ასევე, რატქმა უნდა, სიყვარული. ქართველებმა და ხორვატებმა ერთმანეთის მსგავსად გამოიარეს ომი და გაჭირვება. ორივეს გვქონდა დიადი წარსული, გყავდა პროფესიონალი ფეხბურთელები, თუმცა, განსხვავება ისაა, რომ მათ ამ გზიდან არ გადაუხვიეს. დღეს ხორვატი ფეხბურთელები ევროპის წამყვან გუნდებში საკმაოდ წარმატებულად ასპარეზობენ. ჩვენგან განსხვავებით, არც სამედიცინო შემოწმების დროს „იჭრებიან“. თუ მათ მაგალითზე, დავუშვებთ, რომ ფინანსები არ არის წამყვანი ფეხბურთში, მაშინ შეიძლება საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება და არაპროფესიონალიზმი აღმოვაჩინოთ ქართულ ფეხბურთში, რასაც აქამდე შესაძლებლობათა არქონას ვაბრალებდით.

ჭკვიანი კაცი ჭკუის სასწავლებლად გამოიყენებს ხორვატთა უსაზღვრო მონდომებას.

**ქათიშან კუხალაიშვილი**

P. S. მუნდიალის დღეებში ცნობილი გახდა, რომ ტურნირის მშენება — ხორვატეთის ნაკრები რუსეთის სტადიონებზე საქართველოში, კერძოდ, ბობოყვათში შეკერილი სპორტული ფორმით თამაშობდა. იქნებ, მისი წყალი გადაგვესხას, ახლა კი გაეცანით ბალკანელთა თავკაცის ზღაგო დალიჩის მიერ გაკეთებულ კომენტარს, რომელშიც ფინალური მაგჩის შემდეგ ჩვენი სამშობლოც მოიხსენია.

„ჩვენ ავტობუსს აწერია: „პაგარა ქვეყანა — დილი ოცნება“. უნდა გავროდეს შენი წარმატების. ეს სიგნალია ისეთი პაგარა ქვეყნისთვის, როგორიც ხორვატეთია, იგივე საქართველოსთვის. უნდა გაგაჩნდეთ ოცნება და ამბიციია, არასოდეს არ უნდა დანებდეთ და გავროდეთ გამარჯვების.“

უკან ვიხედები და ვამაყობ ჩემი ფეხბურთელბითა და ჩემი ქვეყნით“.

ძ.ძ.

**საქართველოში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობასთან დაკავშირებით ეს ინტერვიუ ქუზნეცის წყალდიდობამდე ჩაინერგა. ბოლო სტიქიამ საკითხი კიდევ უფრო აქტუალური გახადა. მონიწიანადმდეგები ღიადა აცხადებენ, რომ ქვეყნისთვის დამატებითი მდინარეებზე 150 ჰესის მშენებლობა.**

**ამ თემაზე არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენელს დამოუკიდებელი ჟურნალის წარმომადგენელს ვესაუბრეთ.**

— ამ საკითხში მკაფიო პოზიცია გვაქვს. იმ პირობებითა და ხელშეკრულებებით, რაც საქართველოში ჰიდროელექტროსადგურებზე არის დადებული, ამის განხორციელება არ შეიძლება. ეს მემორანდუმები და ხელშეკრულებები კაბალურია, ქვეყანას საფრთხეს უქმნის როგორც ფისკალური თვალსაზრისით, ასევე განვითარებას არანაირად არ ემსახურება.

უპირველესად, იმას ვგულისხმობ, რომ თითოეულ ხელშეკრულებაში ჩადებულია ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის მუხლები. მიუხედავად იმისა, საქართველოს დასჭირდება თუ არა ენერგია ამა თუ იმ ჰიდროსადგურიდან, მოუწევს (და ვალდებულიცაა), საკმაოდ მაღალ ფასად შეისყიდოს, — ხშირ შემთხვევაში, მთლიანად რეიდან თორმეტი თვის განმავლობაში გამოძახებული ელექტროენერგია. რაც უცილობლად გამოიწვევს ელექტროენერგიის ფასების ზრდას.

გარდა ამისა, აღნიშნული ფორმით ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს მიერ ასოცირების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულებასთან. ამის თაობაზე საუბრობს არა მხოლოდ „მწვანე ალტერნატივა“, არამედ ამას მთავარ გამოწვევად თავად ენერგოთანამეგობრობა აღიქვამს. ხოლო საერთაშორისო სავალუტო ფონდი პირდაპირ ფისკალურ რისკებს ხედავს ქვეყნის ბიუჯეტისთვის მსგავსი სახით გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებებს, როგორც ის არის დადებული.

აქ ჩვენ ერთ და ორ ხელშეკრულებაზე არ ვსაუბრობთ. საუბარია 82 მემორანდუმზე და ხელშეკრულებაზე, 106 ჰიდროელექტროსადგურის აშენებაზე. ამ ფონზე, ქვეყანამ ისიც კი არ იცის, რის გამო იზრდება ენერგიის მოხმარება. რეგიონულ პროცესებს თუ გავითვალისწინებთ, ელექტროენერგიის ფასები მკვეთრად მცირდება. მათ შორის თურქეთშიც, იქ უფრო იაფია ელექტროენერგია, ვიდრე საქართველოში.

იმ პირობებში, როცა საქართველოს არანაირი საექსპორტო შესაძლებლობები არ გააჩნია, ასეთი მაღალი ფასებით ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის ვალდებულებების აღება, თითოეულ ჩვენგანს და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკას საფრთხეს უქმნის. პრაქტიკულად, ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ იქნება. რეგიონში ერთადერთი ქვეყანა ვიქნებით, სადაც ძალიან ბევრი ელექტროენერგია გვექნება და, მიუხედავად ამისა, ფასები არაფერად იკლებს, პირიქით გაიზრდება.

ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა, რადგან ვალდებულება გვაქვს აღებული, რომ ქვეყანაში ენერგობაზარი შეექმნათ, სადაც ფასები ამ ბაზარზე უნდა დაარეგულიროს, ისევე როგორც ეს ევროკავშირის ქვეყნებშია. თუმცა ჩვენ გვექნება სიტუაცია, როდესაც აქ ვერანაირი ბაზარი ფასებს ვერ დაარეგულირებს, რადგან დადებულია გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებები და, გვჭირდება თუ არა, ინვესტირებისთვის ამ მაღალი ფასის გადახდა მოგვინევს.

რაც შეეხება სხვა საკითხებს. ხშირად საუბარია, რომ აი, პესები თუ არ ავაშენეთ, რაცნათ, ეს ეკონომიკას სჭირდება და ა.შ. კიდევ ერთხელ უნდა ვთქვა, რომ რა სჭირდება ეკონომიკას, ამისთვის აუცილებელია პრობლემის შესწავლა და გაანალიზება. რატომ იზრდება ენერგომოხმარება, რის ხარჯზე იზრდება, სად მიდის, — ანუ, საუბარია ხელშეკრულებებზე, რომლებიც გაფორმებულია თუნდაც მონოპოლისტ ენერგოკომპანიებთან, — თელასსა და ენერგო პრო ჯორჯიას ვგულისხმობ.

ასევე, რატომ ვაწვდით მუდმივად მზარდ და პრაქტიკულად თბილისის ოდენობის ელექტროენერგიას აფხაზეთს. აქ საუბარია ორ მილიარდ კილოვატსაათზე!

ამას ემატება თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში განთავსებული ე.წ. კრიპტოვალუტის სანარმოები. ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან რეალურად თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში გვაქვს სანარმოები, რომლებიც ელექტროენერგიას მოიხმარენ იმაზე უფრო დაბალ ფასად, ვიდრე თითოეული ჩვენგანი ან ნებისმიერი სხვა ბიზნესი. შესაბამისად, ისე გამოდის, რომ თუნდაც კრიპტოვალუტის შემთხვევაში, ჩვენ ვასუბ-

სიდირებთ მის გამოძახებას. ეს მაშინ, როდესაც ეს კრიპტოვალუტა არ მონაწილეობს არც მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირების პროცესში და არც არანაირ დოვლათს არ ქმნის.

ამიტომ, სანამ ჩვენ საკითხს დავსვამთ, გვჭირდება თუ არა ჰიდროელექტროსადგურები, უნდა გავერკვეთ, ზოგადად ეკონომიკაში რა გვინდა, რა სტრატეგიული მიმართულებები გვაქვს აღებული და ამ ტიპის ხელშეკრულებებით, აღნიშნული ჰიდროელექტროსადგურების შე-



## ფრთხილად, ძველსადაც პრეზიდენტად!



**„ამ ფორმით ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა ეკონომიკის ხელშეწყობით აღებული ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით არაა შესაძლებელი“**

ნებლობით მოვასდგნეთ თუ არა დასახული მიზნების მიღწევას.

კიდევ ერთი საკითხი, — ელექტროენერგეტიკის სექტორი არ არის ენერგეტიკა. ის შეადგენს საქართველოს ენერგეტიკის მხოლოდ მცირე ნაწილს. ამიტომ საუბარი, რომ ამ დიდ პესებს ენერგოდამოუკიდებლობის მოსაპოვებლად ვაშენებთ, მცდარი განცხადებაა იმ პირობის მხრიდან, ვინც ამ სექტორზე პასუხისმგებლები არიან.

იმას ვგულისხმობ, რომ საქართველოს ენერგეტიკულ კალათაში ელექტროენერგეტიკის წილი 21%-ია, როდესაც საქართველო დამოკიდებულია ჩვენს მეზობელ ქვეყნებზე, იგივე გაზის, ნავთობისა თუ ნავთობპროდუქტების სახით. ასევე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შუამზეც კი არის საქართველო დამოკიდებული გათბობის თვალსაზრისით.

ამიტომ, გაუგებარია საუბარი, რომ პესებს თურმე იმიტომ ვაშენებთ, რომ ენერგოდამოუკიდებლობა მოვიპოვოთ. როგორ ვაპირებთ, მაგალითად, გათბობის, ანუ ბუნებრივი აირის ჩანაცვლებას? ანუ, ელენერგიას გამოვიყენებთ ბუნებრივი აირის ნაცვლად? ანუ, როგორ უნდა გახდეს საქართველო ენერგოდამოუკიდებელი, რამდენი სადგურიც არ უნდა ავაშენოთ?

**— როდესაც ადგილობრივი მოსახლეობა ძირითადად წინააღმდეგია ამ პესების, ასევე სამოქალაქო სექტორს უამრავი კითხვა აქვს, ამ ფონზე მთავრობა რა მოტივაციებით სარგებლობს?**

— ნამდვილად ისეთი საკითხია, რომელიც ძალიან ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს. გასაგებია, რატომ არის ინვესტორი დაინტერესებული, — ასეთი გარანტირებული შესყიდვებით ამ პესების აშენებით, ის გარანტირებულად მიიღებს შემოსავლებს. მაგრამ ჩვენ დღემდე ვერ მოვისმინეთ, რა სარგებელს ხედავს ამ შემთხვევაში ჩვენი მთავრობა...

არც ერთ ჰიდროელექტროსადგურზე გაკეთებული არ არის ქვეყნისთვის დანახარჯებისა და სარგებლის ანალიზი. ძალიან ჩვეულებრივი, ეკონომიკური ინსტრუმენტია ეს ანალიზი, რომელიც, ერთი მხრივ, ზიანს, ხოლო, მეორე მხრივ, სარგებელს თვლის. სწორედ ამის შედეგად მიღებულ უნდა იქნეს გადაწყვეტილება, სასარგებლოა თუ არა ესა თუ ის სადგური ქვეყნისთვის. არც ერთი მსგავსი ანალიზი არ გაკეთებულა.

დღემდე საქართველო რეგიონში ერთად-

დერთ ქვეყნად რჩება, რომელსაც არ გააჩნია ენერგოეფექტურობის შესახებ კანონიც კი, არაფერია მიზნები. ენერგოეფექტურობა წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიულ მიზანს ევროკავშირში, როგორც ენერგოდამოუკიდებლობის მოპოვების მთავარ მიმართულებას. ამ დროს, ჩვენ ჯერ კიდევ კანონიც არ

გვაქვს. ამ კანონზე, ფაქტობრივად, ათი წელია, ვსაუბრობთ, მაგრამ არ მიგვიღია. როგორც ჩანს, მთავრობას ახლაც არ ამოძრავებს სურვილი, რომ ეს კანონი მიიღოს. არც ერთხელ არ მოგვისმენია ეკონომიკის სამინისტროს მაღალჩინოსნებისგან, ან ენერგეტიკის დეპარტამენტის პასუხისმგებელი პირებისგან, რომ ქვეყნის მთავარი ან ერთ-ერთი პრიორიტეტი მაინც უნდა იყოს ენერგოეფექტურობა, ისინი ამ ტერმინს თითქმის არ იყენებენ.

ასეთ პირობებში იმის მტკიცება, რომ ჩვენი ენერგომოხმარება იზრდება და ამიტომ ვაშენებთ ჰიდროელექტროსადგურები, აბსურდია. თუ ჩვენ ასე სწრაფად გვეზრდება ენერგომოხმარება, არც ერთი ჰიდროელექტროსადგური ერთ და ორ თვეში არ შენდება, მანამდე რა უნდა ქნას ქვეყანამ, სანამ ასზე მეტი სადგური აშენდება? მანამდე როგორ აპირებენ გაზრდილი მოხმარების დაკმაყოფილებას?

დღეს ჩვენ ვართ სიტუაციაში, როდესაც პრაქტიკულად, არც ერთი დაწყებული ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ბოლომდე ვერ მიიყვანეს. იმას ვგულისხმობ, რომ, პრაქტიკულად, არც ერთი სადგური თავის არაფერსა და ორ თვეში არ შენდება, მანამდე რა უნდა ქნას ქვეყანამ, სანამ ასზე მეტი სადგური აშენდება? მანამდე როგორ აპირებენ გაზრდილი მოხმარების დაკმაყოფილებას?

მაგალითად, იგივე 185-მეგავატთან შუახევსზე, რომელიც შარშან, ივნისში, საზეიმოდ გაიხსნა, ზუსტად ორ თვეში გვირავი ჩამოიშალა და ამ სადგურის ბედი სრულიად ბუნდოვანია... 109-მეგავატის დარიალც ესი, რომელმაც, პრაქტიკულად, მდინარე თერგის ეკოსისტემა გაანადგურა და ასევე დარიალის ხეობაც, რომელიც წლების განმავლობაში ერთ-ერთ ტურისტულ ზონას წარმოადგენდა. დღეისთვის ეს ობიექტი ვერ ახერხებს თავისი საპროექტო გამოძახების ნახევარზე ასვლასაც კი.

უკვე აღარ ვსაუბრობ ლარსის, ყაზბეგის ჰიდროელექტროსადგურებზე. აქაც მუშაობა დიდწილად დამოკიდებულია დედოფარკზე, ანუ, როდის ჩამოვდება ღვარცოფი და როდის დაანგრევს ამ ჰიდროელექტროსადგურს, როგორც ეს უკვე რამდენჯერმე გააკეთა 2014 წლიდან მოყოლებული.

ჩვენ ვნახეთ, უკვე ორჯერ, რა დაემართა ბახვიშეს, ასევე მესტიასა და ღვარცოფმა როგორ დაანგრია. ეს იმით არის განპირობებული, რომ ჩვენი ჰიდროელექტროსადგურები რატომღაც ღვარცოფულ მდინარეებ-

ზე არის დაგებული. ეს გაუგებარი რამ გახლავთ, რადგან მსოფლიოში არ მოიპოვება არც ერთი ჰიდროელექტროსადგური, რომელიც აშენებული იქნებოდა ასეთ ღვარცოფულ მდინარეზე!

**— ამ მაგალითების გათვალისწინებით, სვანეთში და რაჭაში აღნიშნული მშენებლობები რა საფრთხეებს შეიცავს?**

— ზემო რაჭაში, ონის კასკადის მშენებლობა დაგეგმილია სეისმურად ყველაზე აქტიურ ზონაში. საკურორტო ზონის სოფლებზე, მაგალითად უწერაზე... მის თავზე უნდა გადაიაროს გვირაბმა, რომელიც ამ სეისმურ ზონაში უნდა გაიზრდეს. და ეს უნდა გააკეთოს იმ კომპანიამ, რომელმაც ააშენა დარიალშესი, ლარსიშესი და ყაზბეგიშესი.

რაჭაშიც იგივეა, რაც ზემო სვანეთში ხდება. ადამიანებს არწმუნებენ, რომ ამ სადგურებს თურმე ეკოსისტემაზე ზემოქმედება არ ექნება და ტურისტებს მოიზიდავს. ამ მხრივ, ძალიან სასაცილო განცხადებები კეთდება, რბილად რომ ვთქვათ. მაგალითად, ნესკრას სადგურის ხელშეკრულება სრულიად კონვიდენციალურია. და რაც კი გამოქვეყნებულია, მისი ანალიზიდანაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველომ ინვესტორთან ძალიან კაბალური ხელშეკრულება დადო. ქვეყანას 36 წლის განმავლობაში მოუწევს მინიმუმ 9 ცენტის გადახდა ადგილზე ერთ კილოვატსაათში.

მიუხედავად ასეთი კაბალური ხელშეკრულებისა, ამ სადგურის გამო დამატებით კიდევ სრულად უნდა გაიჩნოს ხელუხლებელი, მინიმუმ 400 ჰექტარი ტყის მასივი. რა საფრთხეებსა და ზიანზე ვსაუბრობთ, სადა არის წარმოდგენილი დანახარჯებისა და სარგებლის ანალიზი, რომელიც დაასაბუთებდა, რომ ნესკრას სადგურს უფრო მეტი სარგებელი მოაქვს, ვიდრე ზარალი.

**— ამ მდგომარეობიდან გამოსავალს რაში ხედავთ?**

— საუბარია მემორანდუმებსა და ხელშეკრულებებზე, რომლებიც გაფორმებულია და ქვეყანას ფისკალურ საფრთხეს უქმნის, — სასწრაფოდ მათი განყვეტა უნდა მოხდეს, რადგან ასე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა არ შეიძლება.

ამასთან, დაჩქარებული წესით მუშაობა უნდა დაიწყოს ენერგოთანამეგობრობაში გაწევრების შედეგად საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების მიმართულებით. რათა რეალურად შეიქმნას ენერგეტიკული ბაზარი, სადაც ეს ბაზარი დაარეგულირებს ფასებს.

ასევე, აუცილებელია, სახელმწიფომ დროულად და სასწრაფო წესით დაიწყოს გაანალიზება, თუ რატომ იზრდება ქვეყანაში ენერგომოხმარება, ეს რომელ დარგებში იზრდება, სადა არის ეს მოსალოდნელი, დაიწყო გრძელვადიანი პროგნოზი და შედგომში, ამ პროგნოზის შესაბამისად მოხდეს ენერგეტიკის განვითარების სტრატეგიული გეგმის განახლება.

ასევე, განისაზღვროს და ძირითად პრიორიტეტად ჩამოყალიბდეს (ისევე, როგორც ეს ევროკავშირშია) ენერგოეფექტურობა და მთელი რესურსების მიმართვა სწორედ ენერგოეფექტურობისკენ მოხდეს.

ერთ ძალიან მარტივ მაგალითს გეტყვით. დათვლილია, რომ თბილისში მხოლოდ და მხოლოდ გარეგანათების შეცვლით, ანუ არსებული ყვითელი განათების ლედგანათებით შეცვლით, ჩვენ შეგვიძლია დაგვზოგოთ 350 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია. აღარ ვსაუბრობ სახელმწიფო უწყებებზე, დიდ სანარმოებზე, რომლებიც სრულიად არაენერგოეფექტურია მოძველებული ტექნოლოგიებით ფუნქციონირების გამო.


სხვა მხრივ, ჩვენ ახალი ველოსიპედი არანაირად არ უნდა გამოვიგონოთ. უკვე არსებობს კავალური გზა, საითაც საქართველო მიდის ევროკავშირისკენ და უბრალოდ, ჩვენ მიმართ წამოყენებული მოთხოვნები უნდა შევასრულოთ. ამ შესრულების პროცესები უნდა დავაჩქაროთ და არა ისე, როგორც ეს სამინისტროს ჰგონია. რადგან გარკვეული ვადები აქვს მიცემული, მაგალითად 2019-20 წლამდე, ჰგონია, რომ ამის გაკეთებას ზუსტად იმ წლებში დაიწყებს და მანამდე რაიმე ნაბიჯების გადადგმა არ მოუწევს. ეს არის გამოსავალი ამ ჩიხური სიტუაციიდან.

სხვა შემთხვევაში, რეალურად, იმ მიმართულებით მივდივართ, რომ საქართველო, ერთ მშვენიერ დღეს, შეიძლება მართლაც ჩაბნელდეს და ეს არც ადგილობრივი მოსახლეობის, არც არასამთავრობოების პროტესტის, „დამსახურება“ არ იქნება! — ეს იმ უგუნური ენერგეტიკული პოლიტიკის შედეგი იქნება, რასაც კარგა ხანია, მონდომებით ვებლაუჭებით!

ესაუბრა

ზაქვამ პარიძი

# უპოვო უფალს, იყავ ნათელში!



ძვირფასო თამაზ, სულ რამდენიმე წლის წინ შენი დაბადების დღე აღვნიშნეთ. ფაქტობრივად, მთელმა საქართველომ გადაიხადა თავისი საყვარელი მწერლის იუბილე. დღეს კი... დღეს გამოსათხოვარი ბარათის წერა მიხდება. შენმა ამქვეყნიდან უდროოდ წასვლამ თავზარი დასცა შენს საყვარელ სამშობლოს, ახლობლებს, მეგობრებს. ძნელად წარმოსადგენია შენი შემართებული, ვაჟკაცური, მართალი სიტყვის არგაგონება. შენ ყველას გვერდში ედექი და ყოველ მნიშვნელოვან საქმეზე შეგტკიოდა გული. საგანგებოდ ვინახავ თანადგომისა და ყველა კეთილ საქმეში მხარდაჭერის პათოსით სავსე შენს წერილს „მარტყოფის ველზე დაგელოდებით“ — მომმართავდი. ეს ლხინსა და ჭირში გვერდში ყოფნასა და საჭირო შემთხვევაში საბრძოლველად მზადყოფნას მიმანიშნებდა (ასეა მარტყოფის ველი საქართველოს ისტორიაში).

ძვირფასო თამაზ, შენ შემოქმედებითი ბრძოლის (შემთხვევით არ ვამბობ „ბრძოლის“) დიდი გზა განვლე. ეს გზა ბეჯითი, თავაუღებელი შრომისა და შემართებული ბრძოლის გზაა. შენმა დიდმა შემოქმედებამ — გამოჩენილად კრიტიკულმა სტატიებმა, ადრევე მიიყვრო ქართველი საზოგადოების ყურადღება. უმნიშვნელოვანესი იყო შენი რეალისტური ხედვა მძიმე დღეში ჩავარდნილი საქართველოს ბედ-იღბალზე. შენ არ შეუშინდი არავითარ ავტორიტეტს და საძრახისი სიტყვა ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე პირში უთხარი. ეს მოქალაქეობრივი სიმამაცე იყო.

შენი გზა — იმერეთის ერთი პატარა სოფლის სკოლის მონაწილეობიდან საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემდე, შემდეგ საქართველოს მწერალთა აკადემიის პრეზიდენტობამდე — ქვეყნისა და ხალხის სამსახურით იყო გაჯერებული, სიკეთისაკენ მონოდეობითა და მისკენ სწრაფვით აღსავსე. შენმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ დიდად დაამწუხრა ქართველი ხალხი, საღად მოაზროვნე საზოგადოება. გულწრფელი და სალი, ნიჭიერებით სავსე შენი შემოქმედება მარადჟამს გაჰყვება საგზადად ჩვენს ხალხს. ალალი იყოს გულწრფელი ცრემლი, რომელიც ქართველმა ხალხმა შენი გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილის გამო დაღვარა.

დიდად დამწუხრებული, მუხლმოდრეკით შევთხოვ უფალს — დაამკვიდროს შენი სული მართალთა შორის მარადიულ სასუფეველში.

როინ მებრძოლი

წავიდა ამქვეყნიდან ცნობილი პუბლიცისტი, ლიტერატურის კრიტიკოსი, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორი და, უბრალოდ, ნიჭიერი კაცი

## თამაზ

### ნივნივაძე

ბატონი თამაზი რუსთაველის თეატრის დიდი მეგობარი და დამფასებელი გახლდათ.

რუსთაველის თეატრი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს თამაზ ნივნივაძის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.



რუსთაველის თეატრი

თამაზ, მტკივნარ, —

თამაზ ჯაჭვჭირაძე, 16.07.18

ვახტანგ, მანანა, ეკატერინე და ვახტანგ (უმცროსი) ნივნივაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, მწერალი, კრიტიკოსი, ქართულ მწერლობასა და კრიტიკაში ახალი ეპოქის შემქმნელი, წლების მანძილზე გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორი

## თამაზ ნივნივაძე

და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

## ხსოვნა

# თამაზ ნივნივაძის გაკვალული გზით



არასამთავრობო „სამართლიანობის აღდგენისთვის მეგრძოლი ორგანიზაციის“ წევ-

რები ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ საქართველოს მწერალთა აკადემიის პრეზიდენტის, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორის, კრიტიკოსის, ესეისტისა და საზოგადო მოღვაწის

თამაზ ნივნივაძის გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას ვუცხადებთ მისი ოჯახის წევრებს, ნათესავებს, მეგობრებსა და სრულიად საქართველოს.

ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ჩვენი ორგანიზაცია სხვა არასამთავრობო ორგანიზაციის კოლეგებთან ერთად და საზოგადოების ფართო მასების დახმარებით, ბატონ თამაზ ნივნივაძის გაკვალულ გზაზე გა-

აგრძელებს ბრძოლას სამართლიანობის აღდგენისთვის ყველა კანონდამრღვევ სახელმწიფო შტოს მოხელის წინააღმდეგ და არავის არ დავაშვებინებთ კანონის დარღვევას, ადამიანების დამამცირებელ, არაადამიანურ მოპყრობასა და აბუჩად აგდებას, რათა საქართველოში დაცული იქნეს ადამიანის უფლებები ყველა სფეროსა და ყველა დარგში.

არასამთავრობო „სამართლიანობის აღდგენისთვის მეგრძოლი ორგანიზაციის“ მაყის — სახელით —

არასამთავრობო „სამართლიანობის აღდგენისთვის მეგრძოლი ორგანიზაციის“

თავმჯდომარე,

იურიდიულ მეცნიერებათა

დოქტორი, პროფესორი

აპოლონ გაბელია.

შპს „საქნიგის“ დირექცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს სახელოვანი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის

## თამაზ

### ნივნივაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახსა და სრულიად საქართველოს.

## არდავიწყება

# შოთა შალამბერიძე

ქართველმა საზოგადოებამ ღირსეული წევრი დაკარგა — გარდაიცვალა შოთა მითოსძე შალამბერიძე.

დაიბადა 1933 წლის 4 ივლისს, სენაკის მაზრის სოფელ შხეფში, სადაც 1948 წელს დაამთავრა 8-წლიანი სკოლა. 1948-52 წლებში სწავლობდა ქ. ცხაკაიას სახელმწიფო პედაგოგიურ სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგაც ჯარი იმსახურა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე.

1956 წელს წარჩინებით დაამთავრა სოხუმის ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებლის კვალიფიკაციით. სტუდენტობისას იყო აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის სტიპენდიანტი, ახალგაზრდული ორგანიზაციების აქტივისტი.

1956 წლიდან 2007 წლის იანვრამდე მუშაობდა ცხაკაიას (ამჟამად სენაკის) რაიონში: სოფელ ხორშის პირველი მაისის 8-წლიანი სკოლის ისტორიის მასწავლებლად, რაიონულ გაზეთ „ავანგარდის“ ლიტერატურულ მუშაკად, 1956 წლის დეკემბრიდან 1959 წლის იანვრამდე — კომკავშირის რაიკომის ინსტრუქტორად, 1959-60 წლებში — სოფელ შხეფის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, 1960-62 წლებში — პიონერთა სახლის დირექტორად, რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების ინსპექტორად, 1962-66 წ. — პარტიის რაიკომის ინსტრუქტორად, დოსაფის ცხაკაიას და ჩხორიწყის გაერთიანებული რაიკომის თავმჯდომარედ, რკინიგზის სკოლა-ინტერ-

ნატის აღმზრდელ-მასწავლებლად, რაისაბჭოს აღმასკომის უფროს ინსტრუქტორად, 1966-68 წ.წ. — ახალსენაკის დაფნის საბჭოთა მეურნეობის განთავისუფლებული პარტკომის მდივნად, 1968-70 წ.წ. — რკინიგზის სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილედ აღმზრდელობითი მუშაობის დარგში, 1970 წლის იანვრიდან 1974 წლის თებერვლამდე — პარტიის რაიკომის ინსტრუქტორად, საერთო განყოფილების გამგედ, 1974-75 წ.წ. — ახალსენაკის დაფნის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად, 1975-79 წ.წ. — რკინიგზის სკოლა-ინტერნატის დირექტორად, 1979-83 წ.წ. ქალაქის პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორად, 1983-85 წ.წ. — ხალიჩების კომბინატის განთავისუფლებული პარტბიუროს მდივნად, 1985-90 წ.წ. — მეცხოველეობის სამეურნეო-თაშორისო საწარმოს პარტკომის მდივნად, საწარმოს დირექტორად, 1990-93 წ.წ. — კოოპერატივების მუშაკთა პროფკავშირის რაიკომის თავმჯდომარედ, 1993-2006 წ.წ. — პროფსასწავლებლისა და სამედიცინო კოლეჯის ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებლად, ამასთან შეთავსებით — სოხუმის ცოტნე დადიანის სახელობისა და სენაკის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტების საქართვე-



ლოს ისტორიის კათედრის უფროს მასწავლებლად, დოცენტად, სოხუმის ინსტიტუტის პრორექტორად სააღმზრდელო და სასწავლო დარგში.

2007 წლიდან პენსიონერია.

1968-76 წ.წ. იყო საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯული; 1971-1985 წ.წ. — სენაკის საქალაქო საბჭოს დეპუტატი, 1958 წ. მეთაურობდა რაიონის ახალგაზრდულ ბრიგადას ყაზახეთის სსრ კულტანის ოლქში, ყამირ მინჯიზე.

ჰყავს დიდი ოჯახი — მეუღლე, ორი შვილი, ოთხი შვილიშვილი და სამი შვილთაშვილი.

არის ისტორიის უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი; მიღებული აქვს მედალი „შრომითი წარჩინებისათვის“.

წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი ადამიანი, ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

მეგობრები

დალი, ბადრი ბარკალაიები, გიორგი შალამბერიძე, ნაზი, გერმანე კუპრეიშვილები ოჯახებით, იუწყებიან

## შოთა მითოსძე შალამბერიძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მწუხარებაში მყოფ მეუღლეს, შვილებს, ახლობლებს, სანათესავოს, სამეგობროს და სამეზობლოს.

## სანთელი

რუსთაველის თეატრმა დიდი ტკივილი განიცადა – გარდაიცვალა

## იოსებ ლალიძე

– კაცი, რომელმაც ცხოვრების ურთულესი გზა ღირსეულად გაიარა.

17 ივლისს მსახიობი სოსო ლალიძე სამუდამოდ დატოვებს რუსთაველის თეატრს. თითქმის ექვსი ათეული წელი გაატარა მან ამ კედლებში. გამორჩეულად გვიყვარდა ყველას. მაყურებელიც გრძნობდა მის სულიერ სისპეტაკეს და თავყვანს სცემდა უძვირფასეს სოსო ლალიძეს. საოცრად კეთილი და მოსიყვარულე იყო ჩვენი სოსო, ყველას ქომაგი და გულშემატივარი, უბოროტო კაცი.

წლების განმავლობაში სოსო ლალიძე რუსთაველის თეატრის სცენაზე არაერთი დასამახსოვრებელი სახე შექმნა. სოსო მონაწილე იყო რუსთაველის თეატრის ტრიუმფისა და თავისი განუმეორებელი წვლილი შეიტანა ამ უდიდეს წარმატებაში – უფლისწული („სიბრძნე სიცრუისა“), გოგი („კავკასიური ცარცის წრე“), გრეი („რიჩარდ III“), საფრანგეთის მეფე („მეფე ლირი“).

ნიჭთან ერთად სილამაზეც არ დაიშურა მისთვის ბუნებამ და არც არის გასაკვირი, რომ ქართველმა ვაჟკაცმა, ჭეშმარიტმა რაინდმა ეკრანზე გამოჩენისთანავე სამუდამოდ დაიპყრო მაყურებლის გული.

ძვირფასო სოსო, შენი რუსთაველის თეატრი ღრმა მწუხარებაში მოიცვა, მაგრამ გვჯერა, სიკეთე, მაღალი და სიცოცხლის სიყვარული მარად დარჩება ჩვენს გულში.

რუსთაველის თეატრი

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია მწუხარებით იუწყება კიდევ ერთი უღირსეულის ქართველის, საქართველოს სახალხო არტისტის

## სოსო ლალიძის

გარდაცვალებას და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

ბონდო, იზო, ლიანა ბუნსულები, ლუარა ბანძაძე, სოსო მიქაძე ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ღირსეული ბაღდათელი, ჩვენი უახლოესი ნათესავი და მეგობარი

## ვიტალი აბულაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს. დაკრძალვა 17 VII, ბაღდათის რაიონის სოფელ ფერსათში.



საქართველოს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური, თბილისის ვეტერანთა საქალაქო და რაიონული კავშირები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა თბილისის ვაკის რაიონული კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა ორგანოების დამსახურებული ვეტერანი, თადარიგის პოლკოვნიკი

## იური (ოთარი) ალექსანდრეს ძე

## მაისურაძე

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს, ნათესავებსა და მეგობრებს.

## თურქეთში მომხდარი ავარიისას საქართველოს 5 მოქალაქე დაშავდა

თურქეთში, სამსუნ-ანკარის ავტომაგისტრალზე მომხდარი ავარიისას საქართველოს ხუთი მოქალაქე დაშავდა.

არსებული ინფორმაციით, ქართული სანომრე ნიშნებით მოძრავი ავტომობილი, რომლის საჭესთანაც საქართველოს მოქალაქე იჯდა, ქალაქ ქავკაიდან სამსუნში მიემართებოდა, გზიდან გადავიდა და კედელს შეეჯახა.

დაშავებულები სასწრაფო სამედიცინო სამსახურმა სამსუნის ჰოსპიტალში გადაიყვანა.

## მეცნიერება

## ნობელური პროდუქტიულობის კოეფიციენტი

თუკი სპორტში ტრიუმფის მწვერვალად ოლიმპიური ჩემპიონობა ითვლება, სამეცნიერო სამყაროში ასეთად, უდავოდ, ნობელის პრემიის ლაურეატობაა. მისი მნიშვნელობა არა მარტო სოლიდური პონორარით (1,18 მილიონი დოლარი), არამედ ეროვნული გმირის სტატუსის მიღებითაც განისაზღვრება, რომელსაც გამარჯვებულს ანიჭებენ.

1901-დან 2017 წლამდე პერიოდში ნობელის პრემიის ლაურეატი 892 მეცნიერი გახდა. მათ შორის უმეტესობა – 277 კაცი, ანუ ყოველი მე-სამე (!) ამერიკელი იყო.

სხვა ქვეყნების ნობელიანტთა ოდენობა კი ასეთია: დიდი ბრიტანეთი (106), გერმანია (100), საფრანგეთი (52), რუსეთი (დამატებული სსრ კავშირი) (38).

ნებისმიერი სიდიდის გაზომვა ნებისმიერი ერთეულით შეიძლება, მაგრამ როგორ უნდა გაიზომოს ამა თუ იმ ქვეყნის ეროვნული ინტელექტის კოეფიციენტი გენიოსებით?

გერმანიის მაინის ფრანკფურტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტის თეორიული ფიზიკის ინსტიტუტის პროფესორის კლაუდიუსის გროსის აზრით, ამის გაკეთება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს: მისი განცხადებით, გონების ტიტანების ოდენობით მოსახლეობის სხვადასხვა რიცხოვნობის მქონე ქვეყნების შედარება სრული უაზრობაა – ვთქვათ, ამერიკის შეერთებულ შტატებში 327 მილიონი კაცი ცხოვრობს, დიდ ბრიტანეთში კი – 65 მილიონი. სწორედ ამიტომ,



გერმანელმა მეცნიერმა ისეთი მაჩვენებელი გამოიყენა, როგორიცაა მეცნიერული პროდუქტიულობა: ესაა ნობელის პრემიის ლაურეატთა ოდენობა ქვეყნის მოსახლეობის ყოველ 100 მილიონ კაცზე. ამასთან, გროსი ითვალისწინებდა მხოლოდ სამეცნიერო პრემიებს და უგულვებელყოფდა მშვიდობისა და ლიტერატურის დარგში პრემიებს, რომლებსაც ძალიან ხშირად პოლიტიკური კონიუნქტურისდა მიხედვით ანიჭებენ.

– ამ მაჩვენებლით მე-19 საუკუნის მინურულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში პირველობა გერმანელ მეცნიერებს ჰქონდათ. 1909 წელს „ნობელური პროდუქტიულობის“ კოეფიციენტით პირველ ადგილზე ფრანგები გავიდნენ, თუმცა მთელი მე-20 საუკუნის განმავლობაში უკეთესი შედეგი დიდი ბრიტანეთის სწავლებებს ჰქონდათ: ყოველ 100 მილიონ მცხოვრებელზე მათ 0,98 ლაურეატის რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწიეს.

ამერიკელებმა კი ლიდერობა ხელთ იგდეს 1960-იანი წლებიდან, ხოლო საუკუნის მანძილზე – 0,89 ლაურეატი 100 მილიონ მოსახლეზე – 1972 წელს ჰქონდათ. საგულისხმოა, რომ ამჟამად ამერიკელთა „ნობელური პროდუქტიულობის“ კოეფიციენტი 0,34-მდე შემცირდა, არადა, შეერთებულ შტატებში თავს იყრიან დედამიწის საუკეთესო მეცნიერები – 70 ამერიკელი ნობელიანტი იქ მსოფლიოს 30 სხვადასხვა ქვეყნიდანაა ჩასული!

ნიონ ალექსანდრე

## ეროვნული

## ჯობს, გუნებას მოგეზვით!


ახლახან მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ადამიანის ევოლუციის პროცესში სულ უფრო მეტად ვრცელდება გენები, რომლებიც ალკოჰოლური თრობის მეორე დღეს იმდენად მძლავრ აბსტინენციას იწვევენ, რომ ასეთ „პახმელიაზე“ ერთხელ გადავიტყუები კაცი ალკოჰოლის ხელმეორე მიღებაზე აუცილებლად უარს იტყვის.

ამერიკის პენსილვანიის უნივერსიტეტის მეცნიერებმა კელსი ჯონსონმა და ბენჯამინ ვოიტმა „1000 გენომის“ პროექტის მომსახურება ბაზის ანალიზი ჩაატარეს. მათი ნაშრომი ბოლო დროის ერთ-ერთი უდიდესი სამედიცინო გამოკვლევაა, რომლის მიზანი ათასი ადამიანის გენეტიკური ვარიაციების კატალოგის შედგენა იყო, რომელთა რიცხვში – ევროპის, აფრიკის, აღმოსავლეთ აზიის, ასევე ჩრდილოეთი და სამხრეთი ამერიკების მოსახლეობის 14 პოპულაციის წარმომადგენელი შედიოდა.

მკვლევარებმა კაცობრიობის მომავალში შესედევა გადანეციტეს, ამის მთავარი მიზეზი კი ისაა, რომ მრავალი კამათის მიუხედავად, დღესდღეობით მაინც საყოველთაოდაა მიჩნეული, რომ კაცობრიობა ევოლუციას განაგრძობს. ჩვენს გენებში მიმდინარე მუტაციების შესწავლისას ამჟამად შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, თუ რომელი გზით წარიმართება კაცობრიობის განვითარება.

აღნიშნული კვლევა ავტორიტეტულ სამეცნიერო ჟურნალ „ნეიჩურ ეკოლოჯი ენდ ევოლუშენში“ გამოქვეყნდა.

მთლიანად გენეტიკოსებმა ეგრეთ წოდებული ხუთი ცხელი წერტილი აღმოაჩინეს, რომლებიც ევოლუციას განაგრძობენ.



მათგან ორი დნეების ფრაგმენტებთანაა დაკავშირებული, რომლებიც მემკვიდრეობით ნეანდერტალელთანაა გვერდით (კერძოდ, სწორედ მათგან მივიღეთ დეპრესიასა და თამბაქოს მოწევაზე დამოკიდებულების გამომწვევი გენები). კიდევ ერთი ცვლილება ორგანიზმის მაღარისადმი წინააღმდეგობის განვითარების უნარს უკავშირდება – ასეთი მუტაციები ძირითადად აფრიკულ პოპულაციებს აღენიშნებათ. კიდევ ერთი ლოკალური მოდიფიკაცია დაკავშირებულია ევროპელებში ამინომჟავების გამომწვევასთან.

დაბოლოს, მეხუთე სუბსტანცია, რომელიც ადამიანის დათრობის ხარისხსა და სიჩქარეს, ასევე ალკოჰოლისადმი მიდრეკილებაზე პასუხისმგებელი, რომლის რამდენიმე მოდიფიკაცია არსებობს. ზოგიერთი მათგანი სპირტიანი სასმლის სწრაფად გახლეჩას უწყობს ხელს, თანაც ამ დროს, ორგანიზმში ტოქსინების ოდენობა მკვეთრად მატულობს, რაც ალკოჰოლზე უარყოფით რეაქციას იწვევს, ესენია – პირღე-

ბინება, სისუსტე, თავბრუსხვევა და ა.შ. ისინი, ვისაც დილაობით „მძიმე პახმელია“ აქვთ, იშვიათად ხდებიან გადაბმული სმის ტრფიალი. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ამაში ზედმეტად „მძიმე ხარკის გაღება“ უწევთ. სწორედ „ალკოჰოლის სანაღმდეგო“ მუტაციები აღენიშნებოდათ ოთხი კონტინენტის ხუთი პოპულაციის წარმომადგენლებს.

გამოკვლევის ავტორები ვარაუდობენ, რომ აღნიშნული მუტაციების გავრცელებას ხელი შეუწყო ბოლო ათასი წლის მანძილზე მიმდინარე ბუნებრივი შერჩევა, როცა ხალხი ალკოჰოლს მეტი ინტენსივობით მიეძალა. ალკოჰოლის ტრფიალთა შორის სიკვდილიანობის მაჩვენებელიც უფრო მაღალია და მათი შთამომავლობაც ნაკლებად სიცოცხლისუნარიანია.

ამდენად, „ალკოჰოლური ტანჯვა“ კაცობრიობას ან ხელს ააღებინებს სპირტიანი სასმელების ჭარბ მოხმარებაზე, ანდა ადამიანები დინოზავრებივით გადავშენდებით.

ოთარ ტურაბაიძე

## პასტანკ კუნსკი-გაბაშვილის პლირება!



სასიხარულო შეტყობინება მოვიდა ერევნის მე-15 საერთაშორისო კინოფესტივალისგან „GOLDEN APRICOT“. ჟიურის გადაწყვეტილებით საუკეთესო დოკუმენტურ ფილმად დასახელდა „გამჭვირვალე სამყარო“, რეჟისორი — საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი ვახტანგ კუნცევა-გაბაშვილი.

ფილმი ცნობილი კინოოპერატორის დავით გუგაბიძის ოჯახზე მოგვითხრობს. ფილმის მთავარი გმირი 26 წლის ბექაა, რომელსაც მამა პროფესიის დაუფლებაში ეხმარება.

„მშობლის მოვალეობა არ არის მხოლოდ შვილის გაჩენა — შვილთან ერთად ადამიანის ცხოვრებაში დიდი პასუხისმგებლობა ჩნდება, რომ ოჯახის უმცროსი წევრი სრულფასოვან ადამიანად აღიზარდოს. ამ მოვალეობას ღირსეული მშობლები მოთმინებით და ღირსეულად ასრულებენ, იმ რწმენით, რომ შვილიც ასევე მოიქცევა“ — ასეთია ფილმის მთავარი სათქმელი.

რეზა თოფურიძე

## ბათუმის აეროპორტში ბავშვი გარდაიცვალა!



ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში ბავშვი გარდაიცვალა. „ურალის ავიასაზღვრის“ მგზავრს, რომელიც ბათუმიდან მოსკოვის მიმართულებით მიფრინავდა, ნაადრევად მშობიარობა გაფრენის დარბაზში დაეწყო. მშობიარობა აეროპორტის მორიგე ექიმმა ტერმინალის სამედიცინო პუნქტში მიიღო, მას დახმარება თავის თანამშრომლებმა გაუწიეს. დედა-შვილი ბათუმის საავადმყოფოში გადაიყვანეს. ისინი თავს კარგად გრძნობენ.

## ლიეტუველი ჟურნალისტები მოგზაურებს აჭარაში სტუმრობას ურჩევენ

აჭარაში დასვენებისკენ მოწოდებენ მოგზაურებს ლიეტუვას რეიტინგული მედიასაშუალებები. „თბილისი ზღვა, უნიკალური არქიტექტურა და ისტორიული მონუმენტები, ულამაზესი ბოტანიკური ბაღი და შეუდარებელი აჭარული სამზარეულო“ — ასე იწვევს სტატიას ონლაინ გამოცემა „Alkas.lt“, რომელიც მკითხველს სტატიასთან ერთად აჭარაში მოგზაურობისას გადაღებულ სიუჟეტსა და ულამაზეს ფოტოებს უზიარებს.



ონლაინ გამოცემის მსგავსად აჭარის ტურისტულ პროექტებს ვრცელ სიუჟეტებს უთმობენ ლიეტუვას რეიტინგული ტელეკომპანიები „Rytas TV“ და „LNK TV“. სიუჟეტებში საუბარია აჭარის ზღვისპირა კურორტ ბათუმზე, რომელიც ყოველწლიურად უფრო და უფრო მიმზიდველი ხდება უცხოელ ტურისტებში თავისი ტურისტული ღირსშესანიშნაობებით, ბუნებით, სამზარეულოთი და სტუმართმოყვარეობით.

„ბათუმი ლიეტუველ ტურისტებს ელოდება“ — ამ სათაურით აქვეყნებს სტატიას კიდევ ერთი ონლაინ გამოცემა „Lietuvos zinios“. „თუ თქვენ ზაფხულში სეტილას გადაწყვეტთ, არ ინანებთ არჩევანს თუ შეაჩერებთ ბათუმზე — შავი ზღვის მარგალიტზე საქართველოში. ხანში შესულები მას თავიდან აღმოაჩენთ შეცვლილსა და გალამაზებულს, ახალგაზრდებისთვის კი ეს ქალაქი საინტერესო და მრავალფეროვანია“, — საუბარია სტატიაში.

## ტრამპმა რუსეთს, ჩინეთსა და ევროკავშირს „აშშ-ის მოწინააღმდეგეები“ უწოდა

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა რუსეთს, ჩინეთსა და ევროკავშირს „აშშ-ის მოწინააღმდეგეები“ უწოდა. ამასთან, მან განსაკუთრებით გამოყო ძველი მოკავშირეები ევროპაში, რომლებიც, მისი შეფასებით, „აშშ-ის ექსპლუატაციას ეწევიან“.

„ვფიქრობ, ბევრი მოწინააღმდეგე გვყავს“ — განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა CBS News-ისთვის მიცემულ ინტერვიუში, რომელიც შოტლანდიურ ტორნბერიში მის კუთვნილ გოლფის მოედანზე ჩაინერა.

„ვაჭრობის სფეროში ისინი რეალურად იყენებენ აშშ-ს და ბევრი მათგანი ნატოს წევრი სახელმწიფოა“ — განაცხადა მან.

მისივე თქმით, „მოკავშირეები კვლავ არ ასრულებენ ვალდებულებებს თავდაცვის ხარჯებში საკუთარი წილის მშპ-ის 2%-მდე გაზრდის თაობაზე“.

გარდა ამისა, ტრამპმა კვლავ გააკრიტიკა გერმანია იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი რუსული ბუნებრივი აირის ბალტიის ზღვის გავლით გერმანიაში მისაწოდებლად მილსადენის მშენებლობაზე მოსკოვს დასთანხმდა.



როგორც ცნობილია, რამდენიმე დღის წინათ გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა, რომელიც კომუნისტურ აღმოსავლეთ გერმანიაშია გაზრდილი, არ გაიზიარა ტრამპის განცხადება იმის შესახებ, რომ „სადღესოდ გერმანია მთლიანად რუსეთის კონტროლს ქვეშაა“ და განაცხადა, რომ „საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი, როგორ კონტროლდებოდა გერმანიის ნაწილი საბჭოთა კავშირის მიერ“.

ევროპის საბჭოს თავმჯდომარემ დონალდ ტუსკმა კი ევროპულ ქვეყნებზე ტრამპის თავდასხმები დაგმო და აღნიშნა, რომ ამერიკა და ევროკავშირი „საუკეთესო მეგობრები არიან“.

ცნობისთვის: ევროკავშირი, რომლის პროფიციტმა აშშ-სთან ვაჭრობაში გასულ წელს 151 მილიარდ დოლარს მიაღწია, ვაშინგტონთან საიმპორტო მოსაკრებლების თემაზე დავაში ჩაება. მას შემდეგ, რაც ტრამპმა ევროპულ ალუმინსა და რკინაზე გადასახადი გაზარდა, ევროკავშირმა ანალოგიური ნაბიჯი გადადგა იმ საქონელთან მიმართებაში, რომელიც აშშ-ის სიმბოლოდ ითვლება, მათ შორის — ბურბონზე, ჯინსებზე და მოტოციკლებზე.

## დედოფალი ტრამპთან შეხვედრისას მარტო დატოვეს

დიდი ბრიტანეთის პრინცებმა — ჩარლზმა და უილიამმა უარი თქვეს, დასწრებოდნენ დედოფალ ელისაბედ II-სა და აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის შეხვედრას.

Times-ზე დაყრდნობით, პრინცებმა განაცხადეს, რომ „უბრალოდ უარი თქვეს დასწრებაზე“. თუმცა, ეს საკმოდ უჩვეულო საქციელია, რადგან დედოფალს, როგორც წესი, მარტოს არ ტოვებენ მსგავსი შეხვედრებისას. „ჩვეულებრივ მას ყოველთვის ვილაც ახლავს“. — წერს გამოცემა.

ცნობილი გახდა, რომ პრინცი ჩარლზი ამ დროს საგრაფოს პოლიციის ლონისძიებაზე იმყოფებოდა, ხოლო პრინცი უილიამი პოლოს საქველმოქმედო თამაშზე.



საქართველოს  
რესპუბლიკა  
SAKARTVELOS  
REPUBLIKA  
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი  
საბარტაძე ძმობულია  
299-02-10  
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:  
გურამ გომიასვილი  
599 53-76-16;

ალექს  
ასლანიშვილი  
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი  
მამუკა ვაშაქიძე  
514 33-33-24

გამომცემლობა:  
შპს „თანადგომა“-ს გაზეთ  
„საქართველოს რესპუბლიკის“  
გამომცემელი  
ტ: 599 79-76-79  
შპს „ახალი საუკუნე“  
იბეჭდება გამომცემლობა  
„ქოლორ პრესში“  
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაქ)070.4(479.22)  
ს-323



ავტორთა  
საჩუქრადღებოდ!

რედაქციის მხარ  
შეუპყვითაში მასალაზე  
დაიბაძება ავტორ-  
თა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებებ-  
ში, შესაძლოა, მუდამ  
არ ემთხვეოდეს  
რედაქციის პოზიციას.  
ფაქტების სიზუსტეზე  
პასუხს აგებენ  
ავტორები.

„საქართველოს  
რესპუბლიკა“  
შენი გაზეთია.  
აუხილავლად  
გამოიწერა.  
იყიდა.  
წაიკითხა!



### უხსოვარი პალატის კარები:

აშშ ფონდარი - 2.4478; პერო - 2.8458;  
ბრიტანული გირანა სტარლინი - 3.2115;  
100 რუბლი - 3.9292; თურქული ლირა - 0.5040;  
ახარაბიზანული მანათი - 1.4441;  
1000 სომხური დრამი - 5.0679.

### აივნები 17 ივლისისთვის

აღმოსავლეთი სანაპიროები:  
ბარა - ღამე +16, ღამე +32  
მთიანი რაიონები - ღამე +11, ღამე +28  
დასავლეთი სანაპიროები:  
ბარა - ღამე +16, ღამე +28  
მთიანი რაიონები - ღამე +12, ღამე +25  
თბილისი: ღამე +19, ღამე +31

### დაავიკაპათ, მოგვანათ:

ტელ: 299-02-10,  
599-79-76-79

ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru  
და sakresp@top.ge